# საქართველოს რესპუბლიკა



> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 21 ივნისი, 2013 წელი.

№115 (7242)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს – აკადემიკოსი გიორგი (ოთარ) კვესიტაძე



19 ივნისს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, რომლის დღის წესრიგში იყო ერთადერთი საკითხი – აკადემიის პრეზიდენტის არჩევნები (ახალი საპრეზიდენტო ვადის დადგომასთან დაკავშირებით). ქართული მეცნიერების მთავარი შტაბის ხელმძღვანელის საპატიო და საპასუხისმგებლო პოსტზე კენჭს იყრიდა ორი სახელგანსმენილი ქართველი სწავლული: ამჟამინდელი პრეზიდენტი, აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე** და აკადემიკოსი **გიორგი (ოთარ) კვესიტაძე**.

ფარული კენჭისყრის შედეგად ორივე პრეტენდენტმა ხმათა გამსვლელი რაოდენობა მოიპოვა, მაგრამ 4 ხმით მეტი მიიღო ოთარ კვესიტაძემ, რომელიც ამიერიდან გაუძღვება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას.

გამოჩენილი ბიოქიმიკოსი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე 71 წლისაა. ათეულობით წლის განმავლობაშია აკადემიის წევრი, 1988 წლიდან – ნამდვილი წევრი. ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მკითხველს ვპირდებით ახალ პრეზიდენტთან შეხვედრას.

## „არქიტექტორ“ სააკაშვილის ხუშტურებს საქართველოს კულტურის ძეგლები ეწირება!




5

## პოლიტიკური მეძავები

2

## მეგის ქარდავას, თენგიზ გუნავას და ახალაიებს დედა აღარ ჰყავთ!..

3

## ვიდრე „ქართული ოცნება“ ბოლომდე ამერიკისა არ გახდება, ვაი ჩვენი ბრალი!

## სასამართლო ხელისუფლება – სააკაშვილის რეჟიმის დაუსჯელობის გარანტად



4



9

## იყო კი პუშკინი ზანგი?


## მაგთის საჩუქარი ფოტოხელოვანისთვის

მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ


6

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ბედი სასტიკი...

# კალიგულა

*„არ არსებულა უკეთესი მონა და უარესი მეფე, ვიდრე კალიგულა!“*

*რომაული გამოთქმა*



იყო თუ არა, აღარც მახსოვს,
თუ იყო, როდის?
ფაიფურს მკრთალად რომ ვურევდი
ატმისფერ მოტივს...
...და მესიზმრება: —
გზას ვადგავარ, ბებერი ლოთი,
აყვავებული ფეიხოას გაშლილი
ტოტით!..
გადატყდნენ წელში ხეხილები
გამხმარ ბაღების,
ჩადგა გრიგალი,
თოვლი ცრის და მირკანი მოდის...
დარჩა კი ვინმე მართლის
მთქმელი,
ან ხმის გამღები?!
— ვინ იცის, იქნებ,
უკვე წასვლა სჯობია ლოდინს?!
მე მოვისმინე მეგობრის ხმა
თელავივიდან,
და მაშინ მივხვდი,
რომ თბილისი აღარ ვარგოდა!
— გაახსენებენ ზოგიერთებს,
როგორ მივიდა,
იმ სავარძელში
უსირცხვილოდ როგორ ჩაგორდა!
...ვარ დაკრძალვაზე,
ეკლესიის ეზოში ვდგავარ,
წასაბრძანებელს კუკიაზე
მე თავად ვგავარ.
ფუსფუსებს ხალხი,
ვაკვირდები ნაცნობ გარეწარს,
პირჯვარს იწერს და
თავი მოაქვს უცოდველ კრავად!..
ვისმენ საუბარს:—
— „წელს თუ არა, რას ველით
გაისს?!“
იქვე პასუხი:
— „რას ველით და არაფერს კაის!“
...მე კი რატომღაც, უნებურად,
ვიგონებ ცეზარს —
— ხანჯლით დაჩეხილ კალიგულას,
გასისხლულ გაის!..
რამ გამახსენა
ეს გარყვნილი ცოდვის ნაყოფი?
ბილწსიტყვაობით თავმომწონე,
მტრობით ბალღამით...
საკუთარ დებთან
სარეცელის სიძვით გამყოფი,
ხალხს რკინის ჯოხი,
სენატორებს რკინის ლაგამი!
ბევრი წაიქცა, ჯამით ხელში,
მუხუდოს რიგში,
და ძრწოდა ირგვლივ
შავი ჭირის მრისხანე შიში!
ტიბროსის პირას,
აგრიპინას ბაღების ჩრდილში,
შიშველ ბიჭებთან
იოკებდა ვნებიან შიმშილს...
ღვინოში ჩაყრილ
მარგალიტით
და ძმრით გამტყვრალი,
დააცხრებოდა საროსკიპოს
თავის ამქარით,
იყო ამტეხი ქუჩის ჩხუბის,
აყალ-მაყალის...
— თავადაც ბევრჯერ
მოხვედრია
ყბაში მაგარი!..
რად გამახსენდა
ეს გარყვნილი ცოდვის ნაყოფი?!
— არ ვიცი, მაგრამ,
მეზიზღება სიმუნჯე მონის!
დალეული მაქვს დარიშხანი
ჩემი სამყოფი,
და გამზადებულ დასალევსაც
გავუძლებ, მგონი!..
თუ ვინმეს დასცდა: —
— „შიშველია, შეხედეთ, მეფე!“
ტრუბადურები მეფისანი
იმნაირს ჰყეფენ,
— ქონდაქარს, ჩიას,
შერისხულთა წინ უდევს სია,
ზის და ილოკავს იდაყვებზე
სისხლიან შხეფებს...
დღეს ერთს იტყვიან,
ხვალ მეორეს,
ზეგ კი მესამეს...
ტყუილს და მართალს
ერთმანეთში რევენ და თქვეფენ!..
გახსოვთ „ახალო მოცარტებო“,
ვით მიესალმეთ,
აქლოშინებულს, ვარდით ხელში,
გაოფლილ მეფეს?!
...და აი,
ჩვენი „ახალგაზრდა, მაღალი,
მარდი“,
დაცვით,
მედიით,
მიკროფონით და სიტყვით
სხარტით...
დაჰქრის და ყვირის, რასაც
უნდა,
რადგანაც გასდის...
...ხალხს კი, ხალხს უკვე
დასანახად შეძულდა ვარდი!..
მე ჩემსას ვამბობ,
ხან დუმილით, ხან უარყოფით,
— და რასაც ვამბობ,
გულზე ხვდება ზოგიერთს,
მგონი!
რად გამახსენდა
ეს გარყვნილი სიძვის ნაყოფი?
— მიტომ, რომ მძულს და
მეზიზღება
სიჩუმე მონის!
...გადააფარა ტიბერიუსს
გლოვის ზეწარი,
და წამოიცვა თითზე გემმა,
გემმა ცეზარის!..
...და როცა მოკლეს,
ის ბეჭედი წააძრეს მასაც...
— ასეა,
ბედი სასტიკია და უმეცარი!

**რეზო ამაშუკელი**

2007 წლის 27 თებერვალი

**ამ დღეებში ბატონი რეზო 77 წლისა ხდება. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ულოცავს მას ამ თარიღს და ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს სახელოვან შემოქმედს.**

### მოვლენის კვალზე

# პოლიტიკური მეძავები

**გუშინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა. მთავარი თემა, ბუნებრივია, სამეგრელოში აღმოჩენილი იარაღის სამალავი და ვიდეოკასეტები იყო.**

**ჟურნალისტების თხოვნით, მინისტრმა მათ ამ შემზარავი ვიდეოჩანაწერების მხოლოდ მცირე ნაწილი უჩვენა, თუმცაღა ისიც საკმარისი აღმოჩნდა დასკვნების გამოსატანად...**

### ირაკლი კაკაბაძე დავით პაიჭაძესა და ეკა კვესიტაძეს „პოლიტიკურ მეძავებს“ უწოდებს

**უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძე საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს დავით პაიჭაძესა და ეკა კვესიტაძეს „პოლიტიკურ მეძავებს“ უწოდებს. კვესიტაძის განცხადების კომენტირებისას, რომ თითქოს ირაკლი კაკაბაძემ შალვა რამიშვილთან ერთად შს მინისტრთან შეხვედრაზე ცირკი მოაწყო, ირაკლი კაკაბაძემ თქვა: ამ ჟურნალისტებს არანაირი უფლება არ აქვთ, საზოგადოებას ჭკუა ასწავლონ.**



„ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ დავით პაიჭაძეს, ეკა კვესიტაძეს და მსგავს პოლიტიკურ მეძავებს, რომლებიც პირდაპირ იცავდნენ ნაცისტურ რეჟიმს, არანაირი უფლება არ აქვთ საზოგადოებას ჭკუა ასწავლონ. ქართველი ხალხის 90% ახლა გადავდივართ შეტევაზე ამ დემაგოგების მიმართ და მოვითხოვთ მათი ცივილიზებული ფორმით პასუხისგებას“, — დაასკვნა კაკაბაძემ.

რაც შეეხება უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილთან გამართულ შეხვედრას და მასზე ნაჩვენებ ჩანაწერებს, კაკაბაძე მიიჩნევს, რომ „წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების დამალვას გამართლება არ აქვს“ — ძალადობის და ადამიანთა წამების შემსრულებლები, ისე დამკვეთები მკაცრად უნდა დაისაჯონ. მხოლოდ ამის შემდეგ ვიქნებით სრულფასოვანი ერი, — აღნიშნა ირაკლი კაკაბაძემ.

### კადრებმა იმაზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე წარმომედგინა

**ამის შესახებ ჟურნალისტებს ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ბაია ცანავამ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის შემდეგ განუცხადა.**

მისივე განმარტებით, ვიდეოჩანაწერები ადასტურებს, რომ ადამიანთა წამებას სისტემური ხასიათი ჰქონდა. რაც შეეხება კადრებს, იმაზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე წარმომედგინა. ჩვენ თავად ვთხოვეთ მინისტრს, რომ არ გვინდოდა მისი სრულად ნახვა და ირაკლი ღარიბაშვილიც არ იყო ამის წინააღმდეგი. ვნახეთ რაღაც ფრაგმენტები, მაგრამ სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ვთქვათ ერთი რამ — ალბათ, საქმე გვქონდა სისტემურ დანაშაულთან და ეს არ იყო მხოლოდ ერთი კონკრეტული დანაშაული, — თქვა ბაია ცანავამ.

რაც შეეხება შეხვედრის დასაწყისში რამდენიმე ჟურნალისტს შორის გამართულ სიტყვიერ დაპირისპირებას, „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსის შეფასებით, ემოციები ცოტა გადაჭარბებული იყო, თუმცა, ასეთი ტიპის შეხვედრისთვის ეს ბუნებრივია.

### დავით პაიჭაძე ირაკლი ღარიბაშვილთან შეკამათების დეტალებს ყვება

**საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი დავით პაიჭაძე შს მინისტრთან შეხვედრაზე მასსა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის შეკამათების დეტალებს ყვება.**

— საქმე ვიდეოჩანაწერის ჩვენებამდე არ მისულა, პირდად მე ისე დავტოვე დარბაზი. შეხვედრის დაწყების დროს მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომ ვინც ვერ გაუძლებდა ამ კადრების ჩვენებას, შეეძლო წასულიყო. მან თქვა, რომ ჩანაწერში დაფიქსირებული პირების სახეები და მოქმედება დაფარულია. მე ვთხოვე უფრო ვრცლად განემარტა „დაფარულობა“ და ვკითხე — ხომ არ ჩანდა სხეულის მოხაზულობა, ხომ არ ისმოდა საუბარი, ხომ არ ასახელებდა ის საკუთარ ან ნათესავების სახელებს და განვუმარტე, რომ თუ ეს ასე იყო, მაშინ ჩვენ გავხდებოდით კანონდარღვევის მონაწილე, ვინაიდან, პიროვნების პირადი მონაცემები უნდა იყოს დაცული. ამის საპასუხოდ მინისტრმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ამით 9 წლის განმავლობაში დავინტერესებულიყავით. 9 წლის ხსენებას მქუხარე ტაში მოჰყვა. მე მას ვუთხარი, რომ ის აზრზე არ არის, რას ვაკეთებდით 9 წელი და შეხვედრა დავტოვე, — განაცხადა დავით პაიჭაძემ.

**ინტერპრესი**

◉ შემზარავი სინამდვილე

# მეგის ქარდავას, თენგიზ გუნავას და ახალაიებს დედა აღარ ჰყავთო!..



***„დაიცავი საქართველოს" წევრი კახა მიქაია აცხადებს, რომ ფარული სამალავები სამეგრელოში ძმები ახალაიების ორგანიზებით შეიქმნა. მისივე თქმით, სამეგრელოს ყოფილი პროკურორის როლანდ ახალაიას დავალებით ამ სისაძაგლეს ორგანიზებას მეგის ქარდავა და თენგიზ გუნავა უწევდნენ. For.ge-სთან საუბრისას მიქაია აღნიშნავს, რომ ეს იარაღები, არჩევნების შემდეგ, ბაჩო ახალაიას მიერ შექმნილ უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებას უნდა დარიგებოდა.***

***თენგიზ გუნავა აცხადებს, რომ მსგავსი ზღაპრები ბავშვებს რომ მოუყვნენ, ალბათ, ვერც დაიძინებენ, რადგან უკვე მარაზმია. იგი უარყოფს მის კავშირს ამ ჩანაწერებთან...***

***— რაც შეეხება კახა მიქაიას, იგი გუნავას განცხადებას ასე პასუხობს:***

— თენგიზ გუნავა თვითონ არის საბავშვო ბაღის აღსაზრდელი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ თენგიზ გუნავა, მეგის ქარდავა და ახალაიები არიან სწორედ ამის ორგანიზატორები. აქ მთავარი არც იარაღია, არც ის წამლები და არც ჩვენი სურათები, მთავარია ვიდეოფირებზე ასახული წამების კადრები. მეგის ქარდავას, თენგიზ გუნავას და ახალაიებს დედა აღარ ჰყავთ. ციხის კადრები არაფერია, იმასთან შედარებით, რაც ამ კადრებშია აღბეჭდილი.





**— თქვენ იცით რა კადრებია?**

— რა თქმა უნდა, ვიცი და იმიტომაც გეუბნებით. მაქვს ინფორმაცია და ვიცი, თუ რა არის კასეტებზე აღბეჭდილი.

**— ერთ-ერთი ვერსიით გადაღებულია, როგორ აწამებდნენ პატიმრებს ყოფილი მაღალჩინოსნები ციხეში, გარდა ამისა, არის გაუპატიურების კადრებიც...**

— დიახ, ასეა. ეს ჩანაწერი საზოგადოებისთვის რომ გახდეს ცნობილი, მერწმუნეთ, რომ შეიძლება შოკში ჩავარდეს. არ მინდა, გამოძიებას დავასწრო და დეტალებზე ვისაუბრო. ვიმეორებ, იარაღები, წამალი და სურათები არის მეორეხარისხოვანი. ეს იარაღები ეკუთვნოდა ახალაიებს. ახალაიები ამ იარაღით ამარაგებდნენ იმ ბანდფორმირებებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის დავალებით შეიქმნა სამეგრელოში. უმთავრესი არის ის კასეტები, რომელზეც პირდაპირ გეუბნებით, შოკში ჩავარდება ჩვენი საზოგადოება, როდესაც დაინახავს იქ აღმოჩენილ მასალებს. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს არის უფრო მძიმე კადრები, ვიდრე ის, რაც ჩვენ ვიხილეთ სექტემბერში.

**— როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდებოდათ ეს კადრები?**

— ამას ინახავდა მეგის ქარდავა, რადგან ამა თუ იმ პიროვნების შანტაჟისთვის სჭირდებოდათ. გუნავა იყო სამხარეო პოლიციის უფროსი და მისი მოადგილე იყო მეგის ქარდავა. ახალაიების, ქარდავების და გუნავების ნახელავია ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილის დავალებით.

**— თქვენი ინფორმაციით, რომელ წლებშია ეს კადრები გადაღებული?**

— ომის შემდგომ პერიოდში გადაღებული ფირებია. შეიძლება ომამდელი პერიოდიც იყოს, მაგრამ მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, ძირითადად, ომის შემდგომი წლებია ამ კადრებზე.

**— როგორ ფიქრობთ, უნდა გამოქვეყნდეს თუ არა ეს კადრები და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რეალურად რა კადრებზეა საუბარი?**

— კადრების გამოქვეყნების მოთხოვნის უფლება მე არ მაქვს. ეს ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, აქ ისეთი კადრებია, რომ მისი ნახვა საზოგადოების ფართო წრისთვის შემზარავი იქნება. დიდი ხანია, ვითხოვ, რომ გამოძიებული იქნას ვინ გასცა ბრძანება ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვის საფარქვეშ ახალაიებს, გუნავებს და ქარდავებს სამეგრელოში შეექმნათ ზონდერბანდები! ვინ აფინანსებდა და ვინ ხელმძღვანელობდა მათ. დიდი ხანია, ამას ვითხოვ და ახლაც ვთხოვ ხელისუფლებას, რომ გამოძიებული იქნას, ვისი ბრძანებით და ვისი დაფინანსებით ხდებოდა ამ ზონდერბანდების შექმნა.





**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— კობა ახვლედიანი, რომელიც ახლა გორგასლის ორდენის კავალერია, ერთ-ერთი მთავარი პირი იყო ამ ზონდერბანდების შექმნისა. ჰკითხოს ირაკლი ალასანიამ კობა ახვლედიანს და არა მარტო მას, რა ხდებოდა ზონდერბანდებში, ვინ იყო ის ხალხი, ვისაც მე ჟურნალისტებთან ერთად სქურის ტყეში დავადექი. ვინ შექმნა ის ბანდა, რომელიც განთავსებული იყო ზუგდიდში რუსთაველის ქუჩაზე, ლებარდეში და სვანეთში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ სამალავების აღმოჩენა ადასტურებს ჩემს მტკიცებას, რომ ახალაია, ქარდავა და გუნავა მიხეილ სააკაშვილის დავალებით სამეგრელოში და არა მხოლოდ სამეგრელოში, არამედ კახეთშიც და სხვა რეგიონებშიც ქმნიდნენ ზონდერბანდებს.

**— შესაძლებელია, რომ ასეთი სამალავები კიდევ იყოს?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი არაერთია სამეგრელოში და ეს სამალავები ეკუთვნის ამ ზონდერებს. ამდენ იარაღს, წამლებს და კასეტებს ვერავინ ვერ შეინახავდა ახალაიას, გუნავასა და ქარდავას გარეშე. რაც მთავარია, ამას პირადად მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ სამალავის შესახებ ინფორმაცია შსს-ს დათა ახალაიამ მიაწოდა, რომელმაც გამოძიებასთან თანამშრომლობა დაიწყო...**

— არ ვიცი. ვარაუდი შეიძლება იყოს, მაგრამ ეჭვი მეპარება.

**— შეგიძლია გვითხრათ, რა თანხებით ფინანსდებოდა ეს ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვი?**

— ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. დატერორებული ჰყავდათ ბიზნესმენები. შს სამინისტრო, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტრო იყო ჩართული ამ საქმეში. მიხეილ სააკაშვილი, რომელიც თვითონ იყო პირველი პირი, ქმნიდა არაფორმალურ ტერორისტულ დაჯგუფებას. მიხეილ სააკაშვილი იყო ხელმძღვანელი ტერორისტული ორგანიზაციისა, რომელსაც ერქვა „ნაციონალური მოძრაობა" და რომელსაც მე თავის დროზე დავარქვი „ქართული ალქაიდა".

**— ერთ-ერთი ვერსიით, ამ ზონდერჯგუფების წევრების უმრავლესობა კრიმინალური დაჯგუფების წევრები იყვნენ და მათმა ნაწილმა თავი შეაფარა გალის ტერიტორიას...**

— კრიმინალური ავტორიტეტები, პოლიციელები, კუდ-ის აგენტები, ძველი ზვიადისტები, ძველი მხედრიონელები და „ტყის ძმები", აი, ეს არის სრული შემადგენლობა. ესენი დაიშალნენ და მოხდა მათი გადაჯგუფება თავდაცვის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებში. მე არავის დაჭერის მომხრე არ ვარ, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს სიმართლე, გამოძიებული უნდა იქნას ეს საქმე, რომელსაც ნებაყოფლობითი რეზერვის ნიღაბქვეშ ტერორისტული ბანდფორმირებების შექმნა ჰქვია.

**თამთა ქარჩავა**

◉ ქართული „მამაძაღლური" წრე

# ვიდრე „ქართული ოცნება" ბოლომდე ამერიკისა არ გახდება, ვაი ჩვენი ბრალი!

## ანზორ მაისურაძე: დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკელებმა ვიდეორგოლის გამავრცელებლის ვინაობა იციან



**შსს-ს მიერ სამალავებში ნაპოვნ მასალებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი" საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრს, გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ანზორ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ სამეგრელოში ნაპოვნი სამალავებიდან ამოღებულ „განძზე"?**

— ჩემი აზრით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში არ იყო წესრიგი. წესრიგი კი, ყველგან და ყველაფერშია საჭირო. თუ დისციპლინა და წესრიგი პირველ რიგში სამართალდამცავ ორგანოებში არ იქნა, წესრიგი ქვეყანაშიც ვერ იქნება. როცა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებში უდისციპლინობა დაისადგურებს, მაშინ ხდება ისეთი გაუგებარი სიტუაციები, რაზეც მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა და ეს ყველაფერი კი ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად აისახება.

როცა უშიშროებაში ვმუშაობდი, მაშინაც იყო სამალავები, მაგრამ სამალავები იყო ჩვენს ქვეყანაში კი არა, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. სამალავები იმ შემთხვევისთვის კეთდებოდა, რომ თუ ვითარება გამწვავდებოდა და საჭირო გახდებოდა იარაღის გამოყენება და ომი დაიწყებოდა, ამ იარაღს გამოიყენებდნენ, რომ შემდგომ იარაღი არ ეზიდათ. ჩემთვის გაუგებარია შენივე ქვეყანაში სამალავების კეთება. ძალიან მიჭირს იმის თქმა, თუ რაში დასჭირდა წინა ხელისუფლებას ამგვარი სამალავების გაკეთება. საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ იარაღის გამოყენების ალბათობის დაშვებაც კი ჩემთვის გაუგებარია და რაც მოვისმინეთ, რა თქმა უნდა, დანაშაულია.

რაზეც მინისტრმა ისაუბრა, მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაულს თავად სამართალდამცავები ჩადიოდნენ. ხდებოდა ისეთი დანაშაული, რომლის პატიება არ შეიძლება. ასეთი სახის დანაშაული ჯერ კარგად უნდა იყოს გამოძიებული და შემდეგ მათი ჩამდენნი სათანადოდ ისე უნდა იყვნენ დასჯილი, რომ სხვამ ასეთი დანაშაულის ჩადენაზე არც იფიქროს.

**— ოპოზიციის ლიდერები საუბრობენ იმაზე, რომ სამეგრელოში აღმოჩენილ საცავებში ვიდეომასალების ჩადებაში შსს-ს ხელი ურევია. რამდენად დიდია ოპოზიციის ამ მტკიცების მართებულობის ალბათობა?**

— ყველაფრის დაბრალება შეიძლება, მოგეხსენებათ, ენას ძვალი არა აქვს. ბავშვიც კი მიხვდება, რომ სამალავში ნაპოვნი მასალები წინა ხელისუფლების შემოქმედებაა. პირადად მე, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ასეა. ასეთი იარაღის დამალვა წინა ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე ვერანაირად ვერ მოხერხდებოდა. ეს ის შემთხვევაა, როცა ითქმის, როგორადაც არ უნდა მალო, სიმართლე ადრე თუ გვიან, მაინც არ დაიმალება.

**— ისიც აშკარა იყო, რომ ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა. რა გამოდის, წესრიგის დამყარება სხვაგვარად ვერ ხერხდება? გასაგებია, რომ ხელისუფლებას სწრაფად უნდოდა ამ სფეროში გარღვევის მიღწევა, მაგრამ ყველაფერი იმის ბრალი ხომ არაა, რომ ჩვენს ქვეყანას, როგორც ოდესღაც საბჭოთა კავშირის ნაწილს, წესრიგის დამყარების სხვა ტრადიცია არც აქვს?**

— თუ წესრიგის დამყარება გინდა, უნდა იცოდე, რომ წესრიგის დამყარება სამართლიანობის საფუძველზე უნდა მოხდეს. იქ, სადაც სამართლიანობა ირღვევა და სამართლიანობა არ არის, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება შეუძლებელია. სამართლიანობის გარეშე წესრიგი კიდეც რომ დაამყარო, ხალხი ყოველთვის უკმაყოფილო იქნება. საზოგადოებას უსამართლობით დამყარებული წესრიგი არ აწყობს და ამგვარი წესრიგი არც ხელისუფლებას არ უნდა აწყობდეს.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

### აქცია კანცელარიასთან

**საქართველოს მთავრობის კანცელარიასთან თბილისში არსებული პოლიკლინიკების სამედიცინო პერსონალმა საპროტესტო აქცია გამართა. როგორც „ინტერპრესნიუსს" აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, №13 პოლიკლინიკის ექიმმა ხათუნა კერესელიძემ განუცხადა, დედაქალაქის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის ობიექტების მასობრივი გასხვისების ფაქტებს აპროტესტებენ.**

**— ჩვენ გვინდა, ამ აქციით ხმა მივაწვდინოთ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, რადგან დარწმუნებული ვარ, მან ამის შესახებ არაფერი იცის. თბილისში პოლიკლინიკების მასობრივი გაყიდვის პროცესი მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დედაქალაქი პირველადი ჯანდაცვის ობიექტების გარეშე დარჩება, — განაცხადა კერესელიძემ.**

**აქციაში თბილისის პოლიკლინიკების რამდენიმე ათეული ექიმი მონაწილეობდა. საპროტესტო აქციას პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერები — კახა კუკავა და ალექსანდრე შალამბერიძეც შეუერთდნენ. აქციაზე იმყოფებოდა „კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენელი ლაშა ჩხარტიშვილიც.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SIC!

# სასამართლო ხელისუფლება — სააკაშვილის რეჟიმის დაუსჯელობის გარანტად

**სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის — ინგა კვაჭანტირაძის, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეების ჯუმბერ რუსიაშვილის, ირაკლი შენგელიას და ივანე ღლონტის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების და კანონშესაბამისი რეაგირების წინადადებით მიმართა.**

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოსამართლეებმა დაარღვიეს საქართველოს კანონმდებლობა და ჯეროვნად არ შეასრულეს მოსამართლის მოვალეობა. საქმე ეხება სააქციო საზოგადოება „ელიტ-ელექტრონიქსში“ განხორციელებული საგადასახადო შემოწმების კანონიერებას. კერძოდ, 2013 წლის 4 თებერვალს სააქციო საზოგადოება „ელიტ-ელექტრონიქსის“ ყოფილი დამფუძნებლის ანზორ ქოქოლაძის განცხადების საფუძველზე სახალხო დამცველის აპარატში დაიწყო საქმის წარმოება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ 2007 წელს განხორციელებული საგადასახადო შემოწმების კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის განმარტებით, 2008 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ არ დააკმაყოფილა „ელიტ ელექტრონიქსის“ სარჩელი, რომელშიც „ელიტ ელექტრონიქსი“ საწარმოში ჩატარებული საგადასახადო შემოწმების არაკანონიერად ცნობას ითხოვდა. მოგვიანებით - 2009 წლის 29 მარტის განჩინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ უცვლელად დატოვა აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

„მოსამართლეებმა ზემოაღნიშნულ საკითხზე არსებითად არ იმსჯელეს და შემოიფარგლნენ მხოლოდ ზოგადი, მშრალი ჩანაწერებით. მართალია, მოსამართლეს ყველა საკითხზე მსჯელობა გადაწყვეტილებაში არ ევალება, მაგრამ ისეთ არსებით საკითხზე, რომელიც სასამართლო სხდომაზე დააფიქსირა მხარემ და როგორიცაა საგადასახადო შემოწმების დაწყების კანონიერება, მოსამართლეებს აუცილებლად ნათლად და დასაბუთებულად უნდა დაეფიქსირებინათ სასამართლოს პოზიცია“, — განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, რომელმაც მის ხელთ არსებული მასალები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს გადაუგზავნა.

უჩა ნანუაშვილს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა უპასუხა და განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერასოდეს შეამოწმებს რამდენად კანონიერად მიიღო მოსამართლემ გადაწყვეტილება.

„ეს რომ დავუშვათ, იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან მოსამართლეთა დამოუკიდებლობაში პირდაპირი ჩარევა. გნებავთ, პროკურორმა უთხრას მოსამართლეს, უნდა დაგკითხოთ, რატომ მიიღე ასეთი გადაწყვეტილებაო, გნებავთ, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უთხრას იგივე. ეს არის მხოლოდ მოსამართლის საქმე, შემდეგ კი მისი ზემდგომი მოსამართლეების“, — განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.



ცოტა გაუგებარია, რატომ აკეთებს მსგავს განცხადებას კუბლაშვილი, როდესაც იუსტიციის უმაღლესი საბჭო სწორედაც ის ორგანოა, რომელიც მოსამართლეთა მიმართ უკანონო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დისციპლინურ დევნას ახორციელებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურაში შედის სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე შემდეგნაირად არის განმარტებული: - „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ნორმატიული აქტების საფუძველზე დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება; დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების მომზადება; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკის წარმოება და მისი განზოგადება.“

უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა მოსამართლეს არათუ სისხლის სამართლებრივი, არამედ დისციპლინური პასუხისმგებლობაც თავიდან აარიდონ.

„ახალი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებიც, მაგალითად, იუსტიციის მინისტრი თვლის, რომ მოსამართლეები წინა ხელისუფლების მსხვერპლნი არიან. სწორედ ასეთი განცხადება გააკეთა ქალბატონმა თეა წულუკიანმა. სახალხო დამცველის მიერ გაცემული არც ერთი რეკომენდაცია, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებას ეხება, გათვალისწინებული არ ყოფილა“, — ამბობს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

იგი კონკრეტულ შემთხვევასაც იხსენებს, რომელიც სახალხო დამცველის ანგარიშშიც იყო აღწერილი და რომელზე რეაგირებაც ლორთქიფანიძემ პარლამენტის ტრიბუნიდან მოითხოვა, მაგრამ რეაგირება ამ ფაქტს არ მოჰყოლია. რაც შეეხება კოტე კუბლაშვილის პოზიციას, დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ეს არის სირაქლემას პოზაში მყოფი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოზიცია და რომ კუბლაშვილი უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ხშირად აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს. უფლებადამცველის თქმით, ამით კუბლაშვილი მოსამართლეებს, რომლებსაც დანაშაულებრივი გადაწყვეტილებები აქვთ გამოტანილი, ღია მესიჯს უგზავნის და მათ ხელშეუხებლობის გარანტიებს აძლევს.

დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, ბოლო დროს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები კოტე კუბლაშვილს უქმნის იმის ილუზიას, რომ ის დამნაშავე მოსამართლეებს დაიცავს. კერძოდ, უფლებადამცველის თქმით, ამ ნორმების თანახმად, არავის აქვს უფლება, სამართალწარმოებაზე მოსამართლეს ანგარიში მოსთხოვოს, რაც მოსამართლეებისთვის ერთგვარი დაცვის მექანიზმია. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მხოლოდ დისციპლინარული დევნით შემოიფარგლება, ხოლო ამ საქმის წარმოების მასალები გასაიდუმლოებულია. შესაბამისად, ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ეს არის ძალიან ფორმალური, მკვდრადშობილი ნორმები, რომლებითაც იქნება იმის ილუზია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თითქოსდა ახდენენ მოსამართლეების მიმართ დისციპლინურ დევნას.

**რუსიკო უშიკიშვილი**

ქართული „მამაძაღლური“ წრე

(მესამე გვერდიდან)

# ვიდრე „ქართული ოცნება“ ბოლომდე ამერიკის არ გახდება, ვაი ჩვენი ბრალი!

საზოგადოებისთვის მიუღებელია უსამართლოდ დასჯილთა ქვეყანაში ცხოვრება. მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული — „არანაირი საქმე ქვეყანასა შიგან არ ხდებოდა, რაიცა მეფემ არ იცოდა“. ჩვენთან თუ ადრე ყველაფერი მოსკოვიდან იმართებოდა, ახლა ყველაფრის საქმის კურსში ვაშინგტონია. ჩემი აზრით, ისეთი დისციპლინა, როგორიც ჩვენთან წინა ხელისუფლებამ დაამყარა, ამერიკული ინსტრუქციებით გაკეთდა. მეტიც, ჩემი დაკვირვებით, ჩვენი ხელისუფლების ყველა ნაბიჯი ვაშინგტონიდან კონტროლდება. საქართველოზე აშშ-ის კონგრესის დადგენილება იმაზე მიუთითებს, რომ მათ ჩვენთან არსებულ სიტუაციაზე სრული ინფორმაცია აქვთ.

**— ამიტომაც ხომ არ იყო, რომ მინისტრ ღარიბაშვილთან შეხვედრას აშშ-ის ელჩი ნორლადი არ დასწრებია?**

— ვერ გეტყვით, შესაძლოა, მას მართლაც ბევრი საქმე ჰქონდა და ვერ მოიცალა. იცით, რა მიკვირს? როცა ვისმენ, რომ კონგრესმენებმა საქართველოდან ცალმხრივი ინფორმაცია გამოიტანეს და ამიტომაც მიიღეს ასეთი დადგენილებაო, ვაშინგტონს საქართველოდან ინფორმაციას აწვდიან ის ამერიკული ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენთან არიან. მათ შორის უპირველესი გახლავთ აშშ-ის საელჩო. თუ არ ვცდები, საქართველოში აშშ-ის საელჩოში 150 ადამიანი მუშაობს. აქედან 60-70% აშშ-ს სხვადასხვა სპეცსამსახურების თანამშრობლები იქნებიან. ისინი თავის ოფისებს ყოველდღიურად აწვდიან ინფორმაციას და დარწმუნებული ვარ, რომ მათ ჩვენზე ასჯერ უკეთესად იციან, თუ რაც ხდება ჩვენთან. ვაშინგტონში გადაწყვეტილებებს სწორედ აქედან მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად იღებენ და არა იმის გამო, თუ ვინ რას იტყვის ამერიკაში საქართველოზე.

**— შსს-ს საქართველოს წინააღმდეგ მუქარის შემცველი კლიპის გამავრცელებლები ჯერ არ დაუდგენია. თქვენი აზრით, რატომ ყოვნდება ამ საქმის გამოძიება?**

— ამასთან დაკავშირებით, ერთადერთი ის შემიძლია გითხრათ, რომ შესაძლოა, ხელისუფლებას სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე არ აწყობს ამის დადგენა. როგორც ჩანს, რგოლის გამავრცელებლის ვინაობა დადგენილია, მაგრამ გამოძიების შედეგები არ ხმაურდება.

**— როგორც გაირკვა, კონგრესმენ ტერნერს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მიღებული რეზოლუციის ავტორი გახლდათ, 5 ივნისს კონგრესის სამხედრო კომისიის სხდომაზე საქართველოს წინააღმდეგ კრიტიკული პოზიცია არ დაუფიქსირებია, ხოლო ერთი კვირის შემდეგ პოზიცია რადიკალურად შეიცვალა. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვაშინგტონში ტერორისტების სახელით გამავრცელებლის ვინაობა იციან და ისიც იციან, რომ იგი ახალ ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირია და ახალი ხელისუფლებიდან მის მიმართ გარკვეული ზომების მიღებას ელოდნენ, მაგრამ ვინაიდან ასე არ მოხდა, შედეგმაც არ დააყოვნა?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ვიდეორგოლის გამავრცელებლის ვინაობა ამერიკელებმა იციან. ვერ გეტყვით, რამდენადაა დაკავშირებული გამავრცელებელი ხელისუფლებასთან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მისი ვინაობა ჩვენი ამერიკელი პარტნიორებისთვის ცნობილია.

**— თუ იციან, რატომ თავად არ ასახელებენ?**

— ვერ გეტყვით. ის, რომ კონგრესმა საქართველოს ხელისუფლება 100 ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავებაში დაადანაშაულა, ნამდვილად მიკვირს. უცნაური ისაა, რომ მათ ხმა არ ამოუღიათ მაშინ, როცა წინა ხელისუფლების პირობებში 9 წელიწადში ციხე გამოიარა 350 ათასმა საქართველოს მოქალაქემ. მათ არც არჩევნების შედეგები არ უნდა გაკვირვებოდათ, ვინაიდან 350 ათას ადამიანს, რომლებმაც წინა ხელისუფლების საშინელი რეპრესიული მანქანა გაირა, ნათესავები ჰყავდათ და მათი რაოდენობა შესაძლოა, 2 მილიონიც კი ყოფილიყო. როცა 2 მილიონი კაცი ხელისუფლებას დედას აგინებს, მათი მხრიდან ქვეყნის მართვა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. წინა ხელისუფლებამ მოახერხა მოსახლეობის ნახევარზე მეტი ისე გაენაწყენებინა, რომ მათმა უმრავლესობამ ქვეყანაში სამართალი ვერ იპოვა. წინა ხელისუფლებამ იმდენი გააკეთა, რომ ქვეყანაში არ დარჩა ხალხი, ვინც მათზე განაწყენებული არ იყო. არც ცხოვრების დონის ამაღლება, არც გზების დაგება და არც წესრიგის ამაღლება არაფერია და არც არაფერს ნიშნავს, თუ ხალხი საყოველთაო ტერორში ცხოვრობს.

სხვათა შორის, საქართველოს უშიშროების კომიტეტში 1961 წლიდან ვმუშაობდი და ვიცი. 1961 წლიდან 1991 წლამდე საქართველოს უშიშროების კომიტეტს სულ ჰყავდა დაკავებული 30 ადამიანი. ჩვენთან ნამდვილი იზოლატორი იყო. ვინც ჩვენთან იჯდა, ჰკითხეთ და გეტყვიან, რომ მათზე თითი არავის დაუკარებია. ისინი სისუფთავესა და საუკეთესო პირობებში იყვნენ. ექიმი გვყავდა და თამარ კოჭლამაზაშვილი, კვირაში ორჯერ სინჯავდა პატიმრების საკვების კალორიულობას...



**— ახლად არჩეული იუსტიციის საბჭოს წევრები ეწინააღმდეგებიან ახალი ხელისუფლების ინიციატივას მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ. ვენეციის კომისია ამ ინიციატივას მიესალმა. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ მოსამართლეები ამგვარი კომისიის შექმნას ეწინააღმდეგებიან?**

— აშკარაა, რომ თავად მოსამართლეებს აქვთ ძალიან ბევრი დანაშაული ჩადენილი და არასწორი გადაწყვეტილებები მიღებული. შესაძლოა, მათ ამის გამო სინდისის ქენჯნაც აწუხებდეთ. მოსამართლეთა კონფერენცია სწორედ იმიტომ დასრულდა ისეთი შედეგით, როგორადაც დასრულდა, რომ ცხადია, მათ არ უნდათ მათივე არასწორად მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხი ვინმემ მოსთხოვოს. კაცმა რომ თქვას, როგორც ჩანს, კარგი მოსამართლეები არცა გვყავს. უბედურება იმაშია, რომ მოსამართლეთა უმრავლესობა ემსახურებოდა წინა ხელისუფლებას და ახლა მზად არის, ახალ ხელისუფლებას ემსახუროს. ამიტომ ვამბობ, რომ არა მარტო მართლმსაჯულების საქმეში, ბევრ რამეში გამოსავალს ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

**— მთლად ასე ცუდად გვაქვს საქმე?**

— საქართველო დღეს ეკონომიკურად, ფინანსურად და ყოველმხრივ სხვა ქვეყანაზეა დამოკიდებული. ჩვენ რომ 1992 წლიდან ის დახმარება აშშ-დან არ მიგვეღო, რომელიც მივიღეთ, საქართველო შიმშილით ამოწყდებოდა. ჩვენთან ბევრს კი დაავიწყდა იმ პერიოდის უშუქობა, უპურობა, უსურსათობა, მაგრამ ამერიკას არ დავიწყებია. ამიტომ, ჩვენ იძულებული ვართ ის გავაკეთოთ, რასაც ისინი გვეუბნებიან.

**— გინდათ თქვათ, რომ ეს ახალ ხელისუფლებას არ ესმის?**

— არა, ახალ ხელისუფლებასაც ესმის ვაშინგტონთან თამაშის წესები. ამერიკა ჩვენს ახალ ხელისუფლებას თავის „მამაძაღლად“ კი მიიჩნევს, მაგრამ იქვე ხანდახან ეჭვიანობს, მთლად ისეთი ჩემი „მამაძაღლი“ არაა, როგორც სააკაშვილის ხელისუფლებაო. ანაც, ფიქრობს „ჩვენიანია“, მაგრამ მთლად ბოლომდე „ჩვენიანი“ არ არისო. ის ვითარება, რაც ახლაა, ჩვენდამი ვაშინგტონის სწორედ ასეთი დამოკიდებულებით ხასიათდება. ამიტომაცაა, რომ გვეუბნებიან — **ვიდრე ბოლომდე ჩვენიანები არ იქნებით, ვაი თქვენი ბრალიო**.

**კობა ბენდელიანი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „არქიტექტორ“ სააკაშვილის ხუშტურებს საქართველოს კულტურის ძეგლები ეწირება!





**სააკაშვილმა არქიტექტურული „ნიჭი“ ჯერ კიდევ ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოავლინა. სამუშაოების წარმოება სახელდახელოდ იტალიიდან ჩამოყვანილ გაუგებარი წარმომავლობისა და შეხედულებების მქონე არქიტექტორს მიანდო. ამ უკანასკნელმაც კარგად აუღო ალღო ქვეყნის პირველი პირის ხუშტურებს და სარესტავრაციო სამუშაოები მისი გემოვნებისა და შეხედულებებისამებრ წარმართა. შედეგად მივიღეთ ის, რომ დღის წესრიგში დადგა როგორც ამ ტაძრის, ისე მთლიანად კომპლექსის იუნესკოს ისტორიულ სიძველეთა ნუსხიდან ამოღების საკითხი. სამუშაოების წარმოების პროცესში ნაციონალების იდეოლოგები პირზე დუჟმორეულები გვიმტკიცებდნენ, რომ ეს იქნება უფრო მასშტაბური ძეგლი, ვიდრე თავის დროზე აიგოო. მაგრამ როდესაც ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ, დადუმდნენ. თუმცა ჩადენილის გამო სინდისის ქენჯნა არც ერთ მათგანს არ უგრძვნია.**

### მორიგი აკვიატება

**იმის გამო, რომ ქართულ მხარეს თურქულთან თანამშრომლობის იურიდიული დოკუმენტაცია არ აქვს, კულტურის სამინისტრო იშხანში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებს ადგილზე ვერ აკონტროლებს,** — აცხადებს კულტურის მინისტრის მოადგილე **მარინე მიზანდარი.** იგი ამბობს, **რომ დოკუმენტაცია, რომელიც მისმა სამინისტრომ 29 მარტს პრეზიდენტის ადმინისტრაციას გაუგზავნა, დღემდე ხელმოუწერელია. მინისტრის მოადგილე აკონკრეტებს — პრეზიდენტი ხელს არ აწერს საქართველოსა და თურქეთში საერთო კულტურული ძეგლების რესტავრაციის შესახებ შეთანხმების პროექტს, რის გამოც ჩვენი მხარე იშხანის რესტავრაციაში მონაწილეობას ვერ ახერხებს. უარის მიზეზად პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეთანხმების ის ნაწილი მოჰყავს, რომელიც, რაბათის ციხეზე გაურკვეველ ცვლილებებს ეხება** — განმარტავს მიზანდარი.

მინისტრის მოადგილე გვიხსნის, რომ **ქართული მხარე თურქეთთან შეთახმებულია, რომ ჩვენი სპეციალისტები სარესტავრაციო სამუშაოებს დროებით დაესწრებოდნენ და თუ საჭირო გახდებოდა დროდადრო კვლავ მოინახულებდნენ ძეგლს... შეთანხმების მომენტში არ ყოფილა ლაპარაკი, რომ ქართული მხრიდან მოხდებოდა პროცესებზე მუდმივი დაკვირვება, ვიდრე ჩვენი კულტურის სამინისტრო პრეზიდენტის ხელმოწერილ ხელშეკრულებას არ გადაუგზავნიდა მათ,** — ამბობს მიზანდარი.

იგი სინანულით აღნიშნავს, რომ ქართულ მხარეს, კულტურის სამინისტროს, არანაირი ბერკეტი არ აქვს პროცესებში ჩართვისა და იურიდიულ ფორმატში მოქმედებისა. ჩვენ ველოდებით, აღნიშნავს მინისტრის მოადგილე, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ხელმოწერილ ხელშეკრულებებს უახლოეს მომავალში მაინც გადაუგზავნის თურქულ მხარეს, რათა შემდგომი მოქმედებების შესაძლებლობა მოგვეცეს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახლადგამომცხვარმა უფროსმა **ალექსანდრე ბარნოვმა** განაცხადა, რომ ხელშეკრულება, რომელიც მათთან კულტურის სამინისტრომ წარადგინა, გარკვეულ ცვლილებებს ითვალსწინებს. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი საერთო კულტურული ძეგლების რესტავრაციის შესახებ პროექტს ხელს მოაწერს, ის გადაეგზავნება თურქულ მხარეს. და მხოლოდ ამის შემდეგ შესძლებენ ქართველი სპეციალისტები სამუშაოებში ჩართვას, — გამომწვევად აცხადებს ბარნოვი და განაგრძობს, რომ პრეზიდენტი კულტურის სამინისტროსგან მისთვის მისაღები ხელშეკრულების პროექტს ელოდება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ამ ქედმაღლურმა განცხადებამ კულტურის სამინისტროს აღშფოთება და გაღიზიანება გამოიწვია. მარინე მიზანდარის განცხადებით, რაბათის ციხესთან დაკავშირებით თურქ სპეციალისტებთან ყველა დეტალი შეთანხმებულია. მისთვის მხოლოდ ის არის გაუგებარი, რის შეცვლას ითხოვს პრეზიდენტი. მან მიახლოებით იცის, რომ სააკაშვილს თურმე, არ მოსწონს გუმბათის ფერი. აქ კი მიზანდარი აღშფოთებას ვერ მალავს და აცხადებს — როდის იყო, რომ პრეზიდენტს ჰქონია უფლება, ჩარეულიყო რესტავრაციის მეთოდოლოგიაში. სწორედ ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ასეთ საკითხებს პრეზიდენტი და გაუნათლებელი მაღალჩინოსნები წყვეტენ. გაღიზიანებული მინისტრის მოადგილე ბარნოვის განცხადებას არადამაჯერებელს და არაპროფესიულს უწოდებს.

### თუ თქვენს პრეზიდენტს ჰკიდია...

**კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის აკადემიური პროგრამების მენეჯერს ლევან წიქარიშვილს იშხანში ჯგუფები ყოველ კვირას ჩაჰყავს და მიმდინარე სამუშაოებს თვალს ადევნებს.** მისი განმარტებით აღდგენითი სამუშაოები ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ტემპები იმდენად სწრაფია, რომ გურგენისეული მცირე ეკლესიის კედელი უკვე აშენებულია. სპეციალისტის განმარტებით, დათქმული 400 დღის ნაცვლად, შესაძლოა, სამუშაოები აგვისტოს ბოლოსთვის დამთავრდეს. წიქარიშვილი ამბობს, რომ სამუშაოები უხეშად სრულდება. თურქულ სამშენებლო კომპანიას არა აქვს ქრისტიანულ ძეგლებზე მუშაობის გამოცდილება. საქართველოს კულტურის სამინისტრომ სამშენებლო ფირმას რეკომენდაციები კი გადაუგზავნა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს არაკოორდინირებულ მუშაობასთან.

თურქეთის ელჩს წარუდგინეს „ფეისბუქზე“ გავრცელებული მასალა ერთ-ერთ კედელზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ. მურათ ბურჰანს განემარტა, რომ სამუშაოები ძეგლთა დაცვის მეთოდოლოგიის დარღვევით მიმდინარეობს. მან კი განაცხადა, რომ არ არსებობს ორი ქვეყნის უწყებებს შორის საერთო კულტურული ძეგლების აღდგენასთან დაკავშირებით იურიდიული საფუძვლები. ყოველივე ორივე მხარის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული — ასკვნის ბურჰანი და იქვე პირდაპირ გვეუბნება რომ ქართული კულტურის ძეგლები თურქეთში, მათი კულტურის საკუთრებაცაა და როგორ აღდგება ისინი, თურქულ მხარისთვის დიდმნიშვნელოვანია. მოკლედ ელჩი მიგვანიშნებს — თუ თქვენს პრეზიდენტს ჰკიდია, ჩვენი მიდგომა სხვაგვარიაო.

### „ნაციონალური“ რიტორიკით

**მცხეთაში იუსტიციის სახლის მშენებლობა შეჩერდა. იუსტიციის სამინისტროში ამას იუნესკოს გამოთქმული შეშფოთებით ხსნიან, არაგვის სანაპიროზე მიმდინარე მშენებლობის შეჩერება იუნესკომ მოითხოვა და მიგვანიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მცხეთასაც იგივე პრობლემები შეექმნებოდა, რაც ბაგრატის ტაძარს. კულტურისა და იუსტიციის სამინისტროების ერთობლივი შეთანხმებით, მშენებლობა დაკონსერვდა.**

ამას უმალ მოჰყვა გამოხმაურება ნაციონალების მხრიდან. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის **ხათუნა ოჩიაურის** განმარტებით, **ეს ხელისუფლების მორიგი ტყუილია, თითქოსდა ეს ადგილი დაცვის ზონაშია. გულდათუთქული გუბერნატორი ამბობს, იუსტიციის სახლის მშენებლობისათვის, საძირკვლის ჩასხმაში, სხვა შენობის გაყიდვით მიღებული 750 ათასი ლარია გადახდილი. გამოდის, რომ ეს ფული წყალშია გადაყრილიო,** ჩივის ოჩიაური (რამდენი მილიონი გაქვთ გადაყრილი ერთდღიან ტაშ-ფანდურებში, ვოიაჟებში, გართობებსა და ა. შ. — **ზ. ბ.**) გუბერნატორი ივანიშვილსაც გადასწვდა, როდესაც თქვა — მშენებლობის შეჩერება პრემიერის განცხადების მერე აღარც გამკვირვებია, პრემიერის გლეხებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა საჭიროდ არ მიაჩნიაო (ნაციონალ-სოციალური რიტორიკა. — **ზ. ბ.**).

ოჩიაური ამბობს, რომ იგეგმება საქპატენტისა და თვითმმართველობის შენობების დანგრევა, თითქოს ისინიც დაცულ ზონაში იყოს აშენებული.

თუ იუნესკოს მოთხოვნაა, ასეც უნდა იყოს. მცხეთა თავისი უნიკალურობით იუნესკოს დაცვის ქვეშ მყოფ ქალაქ-ძეგლთა სიაშია შეტანილი. გლეხებზე „მზრუნველმა“ გუბერნატორმა უნდა იცოდეს, რომ ქალაქის თვითმყოფადობის შენარჩუნებით, როგორც ადგილობრივები, ისე სრულიად საქართველო უფრო მეტ სარგებელს ნახავენ, ვიდრე „არქიტექტორ სააკაშვილის“ წამოჭიმული შუშის სასახლეებით.

ბოლოს და ბოლოს რა გინდათ ხალხო. თქვენი უაზრო, დემაგოგიური რიტორიკით საკმაო ტერიტორიები დაგვაკარგვინეთ და მეზობლებთანაც დაგვამდურეთ. ამჯერად გსურთ მცხეთა დაგვაკარგვინოთ და იუნესკოსთანაც წაგვკიდოთ?

**ზაზა ბილიხოძე**

**P. S. ორიოდ დღის წინათ გაავრცელა ინფორმაცია ქუთაისის ბაგრატის ტაძრის კულტურულ-ისტორიულ ძეგლთა ნუსხიდან ამოღების თაობაზე. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნაშია ნათქვამი, მიუხედავად არაერთგზის მიცემული გაფრთხილებისა და რეკომენდაციებისა ტაძრის რეკონსტრუქცია ძეგლთა დაცვის მეთოდოლოგიის სრული დარღვევით ჩატარდა. ტაძარს მთლიანად დაეკარგა პირვანდელი ისტორიული სახე. მრავალი რჩევის მიუხედავად, რომ სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარებულიყო იმ საშენი მასალით, რომელიც თავდაპირველად იყო გამოყენებული, სამშენებლო სამუშაოების დროს გამოყენებულია რკინა-ბეტონი და ა. შ.**

**იუნესკომ დაგვინდო, როდესაც ბაგრატის ტაძარს ქალაქი-ძეგლი მცხეთაც არ მიაყოლა. ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ გაითვალისწინა, რომ ამჟამად იქ შეჩერებულია მასობრივი მშენებლობები და ხელისუფლებას პირობა აქვს დადებული, რომ მოხდება ბოლო დროს აშენებულთა დემონტაჟი. ამისათვის ქართულ მხარეს რამდენიმეთვიანი ვადა აქვს მიცემული.**

**ერთადერთი, რაც შემოგვრჩა მსოფლიო კულტურულ ძეგლთა ნუსხაში გელათია, ცხადია იმ პირობით, რომ იქაც არ დაიწყება რაიმე საშინელებების მშენებლობა.**

**ზ. ბ.**

**ინფორმაცია**

## ბაგრატის ტაძარი საზოგადოებაში განხეთქილების ვაშლი არ უნდა გახდეს

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას მოსაზრებით, ბაგრატის ტაძარი საზოგადოებაში განხეთქილების ვაშლი არ უნდა გახდეს. მან ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ მთავრობის სხდომის დაწყებამდე განუცხადა, რითიც ხსენებული ძეგლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.**

**„მინისტრები მიდიან და მოდიან, მაგრამ ბაგრატი არის მარადი და ის რჩება. რესტავრაცია მალე დასრულდება და ბაგრატის ტაძარი ფუნქციონირებას დაიწყებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ის ბაგრატი არ იქნება. იგი იმის სიმბოლოდ დარჩება, თუ როგორ არ უნდა ვიჩქაროთ. მისი პირველადი სახე როგორმე უნდა შეგვენარჩუნებინა. როცა ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია მიმდინარეობდა, იუნესკომ უამრავი რჩევა მოგვცა, რომლებიც არ გავითვალისწინეთ და ბევრი რამ ნაჩქარევად არის გაკეთებული. შემდეგ პროცესში იტალიელი არქიტექტორი ჩაერთო და რაც მან გააკეთა, დღეს იუნესკოს არ მოსწონს“, — აღნიშნა გურამ ოდიშარიამ.**

**მისი ინფორმაციით, იუნესკოს ბევრი ქვეყნის ძეგლები აქვს დაცული. ეს ის ძეგლებია, რომლებიც ამ ქვეყნებისათვის პრესტიჟის საკითხია. გურამ ოდიშარიამ მაგალითად საბერძნეთისა და იტალიის ისეთი ძეგლები დაასახელა, რომლებსაც არც სახურავები და არც კედლები აქვთ, მაგრამ მათი ამოშენება არავის უფიქრია.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ!

# სერგო ედიშერაშვილი: ასეთი დაბადების დღე არასოდეს მქონია

## მაგთის საჩუქარი ფოტოხელოვანისთვის



**მაგთი კიდევ ერთი საინტერესო გამოფენის მასპინძელი გახლდათ. ამჯერად ფოტოხელოვანი სერგო ედიშერაშვილი მოხვდა მაგთის მესვეურთა ინტერესის სფეროში. როგორც სჩვევიათ ხოლმე, არასოდეს რჩებათ ყურადღების მიღმა ადამიანები, რომლებიც ქართულ საქმეს აკეთებენ და თავიანთი პროფესიით სამშობლოს ემსახურებიან.**

გუშინ მაგთის სათაო ოფისში ბევრმა სტუმარმა მოიყარა თავი. კედელს სერგო ედიშერაშვილის წლების განმავლობაში „შეჩერებული წამები" ამშვენებდა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეუცნობლად გამოგზაურებდა. „მოგზაურობა საქართველოში" – სწორედ ასე უწოდა ავტორმა ფოტოალბომს, სადაც ასახა მთელი მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი გატაცება – საქართველოს უნიკალური, მრავალფეროვანი ბუნება, არქიტექტურა, ქართული ტრადიციებისა და სულის გამომსახველი სურათები. გამოჩენილი ფოტოხელოვანის ნამუშევრების გამოფენა და მე-7 ფოტოალბომის პრეზენტაცია მაგთიმ სპეციალურად სერგო ედიშერაშვილის დაბადების დღეს დაამთხვია და ასე ლამაზად და შთამბეჭდავად გადაუხადა დაბადების 62 წლისთავი.

**„ჩემთვის სიურპრიზი იყო,** – აღნიშნა ემოციებით დატვირთულმა ფოტოხელოვანმა, **– ნამდვილად არ მოველოდი. ასეთი დაბადების დღე არასოდეს მქონია... ყოველთვის ძიებაში ვარ. აგერ არის ის, რაც შემიქმნია და თავად შეაფასეთ. მე თვითონ არასოდეს კმაყოფილი არ ვარ. დღეს რასაც გადავიღებ, ხვალ უკვე აღარ მომწონს, კიდევ უკეთესი მინდა. მაგთი ეროვნულ საქმეს აკეთებს და აი, მე ვარ პირველი მერცხალი ქართული ფოტოგრაფიის აღორძინების საქმეში. მაგთიმ ესეც დაიწყო".**

ალბათ, ეს განცდაა შემოქმედ ადამიანებს ზენიტისკენ რომ ექაჩება, იხვეწება მათი პროფესიონალური ხედვა და ხელწერა, ფოტოგრაფის შემთხვევაში კი, „თვალი", „უზადო თვალი".

როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა **თათული ღვინიაშვილმა** თქვა: **„ბატონ სერგოს უდავოდ კარგი და საინტერესო ფოტოები აქვს. მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე ბევრი პროექტი გვაქვს ერთად გაკეთებული, დიდი ხანია მაგთისთან თანამშრომლობს. ამჯერად, გადავწყვიტეთ მისთვის მოულოდნელი სასიამოვნო გამოფენით აღგვენიშნა ბატონი სერგოს დაბადების დღე და მოკრძალებულად მიგველოცა ღირსეული ადამიანისთვის". მაგთიკომმა მას „გალაქსი-3"-ის ტელეფონი უსახსოვრა.**

დიდი ადამიანები ეპოქას ქმნიან, დიდი ფოტოხელოვანები კი ეპოქას აჩერებენ. აჩერებენ და მომავალ თაობას გადასცემენ ისეთს, როგორიც ის რეალობაშია... მაგრამ აქ მთავარია, როგორ ხედავს ამა თუ იმ საგანს ხელოვანი. ბევრ ფოტოგრაფს თუ ფოტომოყვარულს შემოუვლია ფეხდაფეხ საქართველო, აღუნუსხავს კიდეც ფოტოფირზე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, საგნისა თუ მოვლენის ისე დანახვა, ისეთი რაკურსით წარმოჩენა, როგორიც სერგო ედიშერაშვილის ნამუშევრებშია, მხოლოდ ერთეულებს შეუძლია.

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

ვინც მას იცნობს, უპირველესად იცნობს, როგორც პროფესიონალს, მაგრამ მეგობრები კიდევ უფრო ახლოს იცნობენ მის სულს, რომელიც მუდამ შემართულია მეგობრის გვერდით დასადგომად, დახმარების ხელის სხვისთვის გასაწოდებლად. ულოცავდნენ ბატონ სერგოს დაბადების დღეს, ხოლო ხელოვანი ათასჯერ უხდიდა მადლობას ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიას, რომელმაც არა მხოლოდ მისთვის გააკეთა ეს, არამედ მისი შემოქმედების დამფასებლებისათვისაც. **„დღევანდელი ღონისძიება ერთგვარი მადლობის გამოცხადებაცაა მისი მაღალი პროფესიონალიზმისთვის",** – აცხადებენ მაგთიკომში.

* * *

ბატონი სერგო სულ რაღაც 34 წლის ასაკში მოხვდა მსოფლიო ფოტოხელოვანთა ნუსხაში. მართალია, მილოცვებით გადაღლილია, თანაც სიტყვაძუნწი, უჭირს საკუთარი თავის წარმოჩენა, მაგრამ ჩვენ მაინც ვთხოვთ ინტერვიუს. **„დღეს ლაპარაკიც ვისწავლეო",** – ამბობს ხუმრობით.

**– ბატონო სერგო, როდის „დაავადდით" ფოტოგრაფიით. გახსოვთ თქვენი პირველი ფოტო?**

– ეს იყო დაახლოებით 50 წლის წინათ. ჯერ კიდევ სკოლის ფოტოწრეში ვსწავლობდი. შემთხვევით დაიბეჭდა ჩემი ფოტო გაზეთ „ნორჩი ლენინელში". ამის შემდეგ დავინტერესდი და მივყევი ამ პროფესიას.

**– რომელი იყო თქვენი პირველი ფოტოაპარატი?**

– ოო... ჩემი პირველი აპარატი იყო „ფედ-2".

**– და როდიდან დაიწყო თქვენი წარმატებები უკვე როგორც პროფესიონალისა?**

– „ნორჩი ლენინელიდან" მთხოვეს გადავსულიყავი „ახალგაზრდა კომუნისტში", იქიდან „მოლოდიოჟ გრუზიაში". იქ უკვე პიკი იყო ქართული ფოტოგრაფიისა. ამის შემდეგ ვიყავი „ახალი ამბების" საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში, მერე – „საქინფორმის" ფოტოქრონიკის დირექტორი 10 წლის განმავლობაში. შევქმენი ქართული ფოტოგრაფიის ეროვნული ცენტრი. ვმუშაობდი „როიტერში", „ასოშეიტედ პრესში" და ასე მოვდივარ და მოვყვები... ახლა უკვე „წყნარ" ცხოვრებას ვეწევი. მოვიარე მთელი საქართველო და ის აღვბეჭდე, რაც ჩემს სულს მოეწონა... კიდევ მოვივლი რამდენჯერმე.

**– მეგობრები აღნიშნავენ, რომ საქართველოსთვის უმძიმეს წლებში მაინც მოახერხა და პროფესიისთვის არასოდეს უღალატია, მეტიც – სხვებსაც ხელს გვიმართავდაო.**

– დიახ, ეს იმ წლებში ვიყავი „საქინფორმის" მთავარი რედაქტორი. ჩვენ ძლიერი მატერიალური ბაზა გვქონდა. ძალიან ბევრ ფოტოგრაფს ვეხმარებოდი. ასე ერთმანეთის გვერდში დგომით გავიტანეთ ერთმანეთი...

* * *

სხვანაირად არც შეიძლებოდა ეცხოვრა შემოქმედს, რომელიც გაშეშებულ ქვასა თუ აბიბინებულ ბალახში, აღმართულ კოშკსა თუ ღრუბლიან ცაში რაღაც არაბუნებრივად ლამაზს ხედავს და ისე მშვენივრად აღბეჭდავს ფირზე, რომ სამუდამოდ გამახსოვრდება.

**მადლობა მაგთის, დიდებული ფოტოხელოვანის პოპულარიზაციისათვის, ქართული საქმის კეთებისათვის.**

**თეა მოსია**

## არა, არ დაუჯეროთ...

# ბეწვის ხიდი

**პირადად მე ბეწვის ხიდზე გავლას ვუწოდებდი როსტომ ჩხეიძის დრამატურგიულ ცდას, ისტორიული პიესის მთავარ პერსონაჟებად გამოეყვანა XX საუკუნის საქართველოს უდიდესი ფიგურები – სანდრო ახმეტელი, პავლე ინგოროყვა, კოტე მარჯანიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი შატბერაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ოთარ ჩხეიძე. ჩვენ, მკითხველები, მიჩვეულნი ვართ როსტომ ჩხეიძის სქელტანიან ბიოგრაფიულ რომანებს, ერთი ამოსუნთქვით რომ იკითხება. თუმცა როდესაც, სრულიად მოულოდნელად, როსტომმა ძალიან მცირე ფორმატის წიგნი „ლეგენდა ისკანდერისა" მაჩუქა, ჯერ დავიბენი, შემდეგ კი, ცოდვა გამხელილი სჯობს, შემეშინდა. განა ადვილია მეცნიერისა და ბიოგრაფოსისთვის დრამატურგის ამპლუაში თავის წარმოჩენა? ხომ არ იქნებოდა ეს მცდელობა წარმატების მწვერვალზე მდგარი ადამიანისთვის თავისებური მარცხი? დრამატურგია ხომ სულ სხვა სპეციფიკასა და მუხტს მოითხოვს?**

გამოგიტყდებით და სწორედ ამგვარი ეჭვებით აღსავსემ დავიწყე პიესის კითხვა. თავიდან მომეჩვენა, რომ დიალოგებს ოდნავ დაჰკრავდა დეკლარაციულობის იერი, მაგრამ საბოლოო შთაბეჭდილებამ ეს აზრი სრულიად გამიქარწყლა. უფრო მეტიც, მივხვდი, რომ ამ თემაზე, ამ ეპოქაზე ისტორიზმის მყარი პრინციპების დაცვის გარეშე პიესა ვერ შეიქმნებოდა. მით უმეტეს, ბოლოსიტყვაობაშიც თვით ავტორი პიესას პოსტმოდერნისტული უხვი ციტაციის სტილისტიკით შექმნილს უწოდებს და ამით გარკვეულწილად თავს იმართლებს მკითხველის წინაშე – „ვინ ჩვენ და მხატვრული ფანტაზია ვინაო?"

არ დაიჯეროთ! ეს ავტორისეული თავმდაბლობის გამოვლინებაა და არა რეალობა. სინამდვილეში „ლეგენდა ისკანდერისა" შესანიშნავად ითავსებს ისტორიზმსაც და ჰეროიზმსაც, მშრალ პოლიტიკურ ფაქტებსაც და რომანტიკულ წიაღსვლებსაც, ფანტაზიასაც, ოღონდ არა ზედაპირულსა და უტოპიურს, არამედ გმირთა შინაგანი აღმაფრენის, მათი ბობოქარი სულისკვეთების ამსახველს. ჯერ მარტო გიორგი შატბერაშვილის და ოთარ ჩხეიძის დიალოგი რად ღირს – მინიშნებებით ფიროსმანზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, მერნისებურ ტრაგედიაზე. პიესის კულმინაციად კი მესახება ბარათაშვილის „მერანის" ლირიკული გმირისა და ადრესატის ურთიერთობის სრულიად ახლებური ვერსიით გააზრება, ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ არსებული თქმულების დაკავშირება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ შედევრთან.



პიესაში ბობოქრობს სანდრო ახმეტელის დაუოკებელი, მოუთოკავი სულიც. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორს მისი პიროვნებაც ისკანდერისა და ბარათაშვილის „მერნის" კონტექსტში მოუქცევია. პიესაში ახმეტელი ყველაზე უკომპრომისო პერსონაჟად გვევლინება. ის არ ეპუება არავის და არაფერს – თითქოს ვერც კი გრძნობს, თუ რა ეპოქაში ცხოვრობს. სხვები თითქოს ფეხაკრეფით დადიან, შიშით სული უთრთით, გაოგნებული შეჰყურებენ ლავრენტი ბერიასთან ახმეტელის თამამ, გაბედულ დაპირისპირებას, აფრთხილებენ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

პიესის წაკითხვისას თითქოს ჩვენ თვალწინ გაიელვებს მთელი ეპოქა თავისი ტრაგიზმით. კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ტირანია და დიქტატურა, ნიჭისა და ღირსების ჩამხშობი, თავისუფალი სულისკვეთების წინააღმდეგ მებრძოლი, თითქოს გამარჯვებული და აღზევებული, მაინც საბოლოოდ მარცხისთვისაა განწირული, რადგან ვისაც ებრძვის და ჩაგრავს, ვისაც ფიზიკურად სპობს და ანადგურებს, მას, თავისდაუნებურად, უკვდავებას ანიჭებს და მარადისობაში უმკვიდრებს ადგილს.

ამიტომაც არის, რომ მიუხედავად ტრაგიკული ფინალისა, პიესის ბოლო სცენა საოცარი აღმაფრენით არის აღსავსე – ჯერ თარის მოთქმა გაისმის, სიბნელეა, მაგრამ უცებ მთელი სცენა ატრიალდება, კვლავ წამოიმართება ახმეტელისეული დიდებული დეკორაციები, გაისმის კავკასიური მუსიკა, აწივლდება ტყვიები, ისმის ზარბაზნების ქუხილი, სხვადასხვა ადგილას ცეცხლი ინთება და, რაც მთავარია, მსახიობები კვლავ დაფრინავენ მთიდან მთაზე. აქ, ალბათ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სული ტრიალებს.

ამ საოცარ სანახაობას კი ასევე საოცარი ხილვა აგვირგვინებს. პიესის ფინალში, ავტორის ჩანაფიქრით, სცენაზე გამოდის ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჯერ კოჭლობით მოემართება. გაისმის ქართული ცეკვის მელოდია ზაქარია ფალიაშვილის „დაისიდან". ბარათაშვილი ნელ-ნელა აჰყვება მუსიკის ხმას და თავბრუდამხვევად ცეკვავს მსახიობთა ანსამბლის ერთ-ერთ მშვენიერ არსებასთან ერთად. თითქოს კოჭლობაც დავიწყებია, თითქოს ისკანდერის სული ჩასდგმია სხეულში. არ ვიცი, ეს ცეკვა „განწირულის სულისკვეთებას" გამოხატავს თუ ბედის „სამძლვრის" გადალახვის სიხარულს, თუმცა, ერთი რამ ცხადია: თავისუფლების წყურვილი დაუოკებელი, მოუთოკავი განცდაა, რომელიც ამ პიესის ყველა გმირს აერთიანებს.

არა, არ დაუჯეროთ როსტომ ჩხეიძეს, რომ მხატვრული ფანტაზია მისთვის მიუწვდომელი, მიუღწეველი რამაა, თითქოს მას საამისოდ პოეტურობა და ემოცია არ ჰყოფნის.

არა, ის უბრალოდ ღირსეული მწერალი და თავმდაბალი ადამიანია.

ნეტავ ყველა შემოქმედი ასე ლამაზად გადიოდეს თავის ბეწვის ხიდს.

**ელისო კალანდარიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ინვესტიცია თუ ინტერვენცია?

# შესვლა აკრძალულია!



სწორედ ეს ორი სიტყვა ამშვენებს ჭავჭავაძის გამზირზე ერთ დროს „ლეჩკომბინატად“ ცნობილ სამედიცინო ცენტრის რკინის ღობით შემორაზულ სივრცეს. ამ სივრცეში ძველი შენობის ფასადიდან შემორჩენილ ერთი მცირე კედელზე დიდი ფარდაგი ფრიალებს წარწერით „ლეჩკომბინატი“. იქ, სადაც სამკურნალო ცენტრი ფუნქციონირებდა, ვეებერთელა ორმოა, რომელის გარშემო მოწყენილი ასწლოვანი ხეებია.

თითქმის მთელი წელია, რაც ასე გამოიყურება შპს „ლეჩკომბინატი №1“- ის მიერ გაუბედურებული ეს ადგილი, სადაც, თურმე, „სამედიცინო და ჯანდაცვის ობიექტი“ უნდა აიგოს. ძველის დანგრევისთვის ამ შეპესელებს ნგრევის ნებართვაც კი მიუღიათ მერიიდიან და ამ განადგურებას „დემონტაჟი“ უწოდეს. „მონტაჟი“ კი, ალბათ, მაშინ დაიწყება, როდესაც „არქიტექტურის ლაბორატორია №3 ახლის პროექტირებას დაამთავრებს.

**„შესვლა აკრძალულია“.** საქართველოში ასეთ წარწერებს მრავალს ნახავთ. რაც ხალხს ეკუთვნოდა, მპყრობელებმა თუ დამპყრობლებმა მიიტაცეს, რომლებიც მაგიურ სიტყვა **„ინვესტიციას“** ამოეფარნენ.

ჩემთვის წარმოუდგენლად მძიმე იყო ბუცა ჯორბენაძის მიერ შექმნილი „საზეიმო რიტუალების სასახლის“ ბედი. ის არქიტექტორს მომავლის ტაძრად ჰქონდა ჩაფიქრებული, ტაძრად, რომელსაც მომავალი თაობები დაასრულებდნენ. ჩემს უცხოელ მეგობრებსაც ისე მოსწონდათ, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე აეროპორტიდან სასტუმროში მისვლამდე ამ ტაძრის მონახულებას მთხოვდნენ.

ის საზეიმო რიტუალების სასახლე ჯერ წვრილმა მეპატრონეებმა გაინაწილეს, შემდეგ კი ძალზე მსხვილი მეპატრონეც გამოჩნდა და შეისყიდა ეს სასახლე. ვიფიქრე, ეშველებოდა ბუცას ქმნილებას, მის შესანიშნავ ფრესკებს და ხალხს დაუბრუნდებოდა. ის კი ჩაკეტილ კერძო საცხოვრებელ სახლად გადაიქცა წარწერით „შესვლა აკრძალულია“.

და დადგა ჟამი უთავბოლო, უსინდისო, ნულოვანი პრივატიზაციისა და მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნები კი არ განადგურდა, მუსრი სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებსაც გაავლეს. ის რომ, ხალხის დიდი მასა უმუშევარი დარჩა, დამპყრობ პრივატიზატორებს სულაც არ ადარდებდათ, რადგან, თურმე, ინვესტორები ყოფილან.

მაინც, რა იყო ამ აღვირახსნილი პრივატიზაციის მიზეზი?

ერთმა ძალიან მნიშვნელოვანმა მაღალჩინოსანმა, რომელმაც გამსახურდიას სასტიკად უღალატა და შემდგომმა ხელისუფალმაც თავიდან მოიცილა (მოღალატე ყოველთვის მოღალატეა და ყოველთვის ეჭვით უყურებენ), განაცხადა, **„ზვიადი იმიტომ გააგდეს, რომ ის პრივატიზაციას უშლიდაო ხელს“.**

თურმე, რაში ყოფილა საქმე!

აბა, პრივატიზაციის გარეშე, ხალხისთვის ანაბრების წართმევის გარეშე, სახალხო ქონების ხელში ჩაგდებისა და უცხოელებზე სარფიანად მიყიდვის გარეშე კაპიტალიზმი როგორ შემობრძანდებოდა?

ჩვენებურ კაპიტალიზმს დასავლეთში „ველური“ უწოდეს.

და გაიწმინდა სინდისისგან სიხარბით აღტყინებული ხალხის ერთი ჯგუფი, მეორე კი, გაცილებით მრავალრიცხოვანი, უკიდურესი სიღატაკის მორევში ჩაეშვა.

მახსენდება, იმ საზიზღარი „კუპონების“ დროს (ყველას თავი როგორმე მილიონერად რომ ეგრძნო, კუპონები ექვსნიშნა ციფრებით დაამშვენეს), უნივერსიტეტთან მამაჩემის მეგობარი, ბრწყინვალე მათემატიკოსი, აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი შემხვდა. გახარებული იყო: ხელფასი აეღო და 10 კვერცხი შეეძინა. მითხრა, ეს ის ერთადერთი ორგანული საკვებია, რომელიც მას და მის ასევე აკადემიკოს მეუღლეს შეეძლოთ მიეღოთ მომავალ ხელფასამდე.

იმ დროს მე სოროსისგან რაღაცა მერგო, მაგრამ ვერ გავბედე შემეთავაზებინა თუნდაც მცირედი. გავუყევით ჭავჭავაძის გამზირს. „ავრორასთან“ მაღაზიის ვიტრინაში „ბორჯომის“ ბოთლი შენიშნა. წაიწია ვიტრინისაკენ და თქვა, ჩემი კუჭისთვის ბორჯომის წყალი აუცილებელი წამალია, მაგრამ კუპონები აღარ დამრჩაო. ვიხელთე მომენტი და ჭიქა „ბორჯომზე“ მივიწვიე. დავითანხმე, ვიყიდე 2 ბორჯომის ბოთლი, ერთი იქვე გავხსენით, დალია ერთი ჭიქა და ღრმად ამოისუნთქა. დიდი თხოვნა დამჭირდა, რომ გახსნილი ნაკლული ბოთლი და მეორე ბოთლი სახლში წაეღო. ისიც კი მოვახერხე, რომ კანფეტების მცირე პარკი მის კვერცხებიან ცელოფანის პარკში ჩამედო.

ეს საშინელება იყო — უყურო ამ დიდებული მეცნიერის ყოფას და შენც არაფრის შნო გქონდეს, რომ ამ მდგომარეობიდან გამოიყვანო! იმ ავბედით დროს მეორე ბრწყინვალე მათემატიკოსი და პიროვნება, აკადემიკოსი ლევან ჟიჟიაშვილი მისმა მეგობრებმა საავადმყოფოში რომ მოინახულეს, ექიმებმა უთხრეს, მისი წამალი მხოლოდ ნორმალური საკვებიაო.

სწორედ ეს იყო იმ პრივატიზაციის შედეგი, რომელიც თავს მოგვახვიეს. თვით „მეფემ“ კი ბრძანა: **„რაც უფრო მეტი მილიონერები გვეყოლება, მით უკეთესიაო“,** ვითომ არ იცოდა, რომ თითოეული მილიონერის დაბადებას ათეულ ათასობით წესიერი ადამიანის გაღატაკება და შიმშილით სიკვდილი მოსდევდა, რადგან დოლარები ციდან არ ცვივა და ის საწყალ ხალხს უნდა ამოაცალო ჯიბიდან.

რატომ ვერ ხვდებოდა ამას ე. შევარდნაძე?

მახსენდება 1996 წლის იანვარში ახლად არჩეული პრეზიდენტის ინტერვიუ ზაზა დარასელთან. ბატონ ედუარდს კორესპონდენტი ეკითხება:

„თქვენ, როგორც პრეზიდენტი, გადაწყვეტილების მიღებისას ვის რეკომენდაციებს დაეყრდნობით“?

„არავის“, — უპასუხა შედარებით სწრაფად პრეზიდენტმა.

მძიმე დუმილი ჩამოწვა. კიდევ რაღაცის მოლოდინში იყო ზაზა. მე კი გაოცებული შევყურებდი ეკრანს. ნუთუ ესაა დემოკრატია, როცა პრეზიდენტი ჭკუას არავის ეკითხება. თვით დიდ მეფეებსაც კი თავიანთი ვეზირები ჰყავდათ სათათბიროდ. ველოდი, რომ ჩვენი მეფე იტყოდა, საქართველოს ჰყავს საკმაოდ მაღალი დონის მეცნიერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და მათთან ურთიერთობა დიდად წაადგებოდა სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. თუმცა, გავიდა ოციოდე წამი და პრეზიდენტმა გასაოცარი, კიდევ უფრო უარესი განაცხადა:

„არა, მე მთლად სწორედ არ ვთქვი. რასაკვირველია, ჩემი გადაწყვეტილებების მიღებაში მე ვითვალისწინებ რეკომენდაციებს. ერთადერთი ეს არის მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის რეკომენდაციები. მათ წარმომიდგინეს თხუთმეტი ტომი რეკომენდაციებისა და ყველას დავაწერე რეზოლუცია დაუყოვნებლივ შესასრულებლად“

გაოგნებული დავრჩი. ზაზაც რაღაცის მოლოდინში იყო. პრეზიდენტმა კი გააგრძელა:

„ეს ისეთი ორგანიზაციებია, რომლებმაც აფრიკის დაქცეული ქვეყნები ღრმა ჭაობიდან ამოიყვანა და ჩვენც მხოლოდ ისინი გვიშველიან!“

გასაოცარი ის კი არ არის, რომ პრეზიდენტი ასე ფიქრობს, არამედ ის, რომ მან ეს ტელევიზიით უთხრა მოსახლეობას. რა დამოუკიდებელი ქვეყანა ხარ, როდესაც სხვა სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული კანონებით ცხოვრობ? როცა ყველა შენი კანონი ამერიკაში იწერება და მას აქ ცხოვრებაში ატარებ, განა ამას სასტიკი კოლონიალიზმის უღელქვეშ მყოფი ხალხი არ ქვია?

აი, მიზეზი ინვესტიციით ქართული სახელმწიფოს ანექსიისა: შემოდით, იყიდეთ, რაც გსურთ, დაეუფლეთ, რასაც გინდათ და თქვენი იქნება, ოღონდ რაღაცა ჩვენს საკუთარ ჯიბეებშიც უნდა დარჩეს, ცოტა კაპიტალიზმის წყალი რომ შეგვეშხეფოს.

და გაჩაღდა ველური კაპიტალიზმის მიერ საქართველოს განადგურება სწორედ ინვესტიციების გზით. ჯერი უცხოელებზე დადგა და მათაც არ დააყოვენეს.

„გაყიდეთ, გაყიდეთ, გაყიდეთ ყველაფერი ჩქარა“, — ბრძანა რუსეთიდან ჩამოგორებულმა ბენდუქიძემ და სინდისი გაყიდა თუ არა, რუსეთში დაგროვილი დოვლათის გაათმაგებას მიჰყო ხელი. მთავარი იყო ეკონომიკა გაენადგურებინა ეკონიმიკის მინისტრს და უცხოელთა ინვესტიციას თუ ინტერვენციას წინ ველარავინ აღუდგებოდა.

„ინვესტიცია“ და „ინტერვენცია“.

ეს ორი სიტყვა, თავისი მნიშვნელობით, ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული უნდა იყოს, თუმცა, რატომღაც ჩვენს ქვეყანაში მათ ერთნაირი მნიშვნელობა შეიძინა?!

მართლაც საოცარია. ორი ათეული წელია, სულ ინვესტორების ძიებაში ვართ და, ჩვენდა გასაოცრად, ინტერვენციის მაგვარს ვიღებთ.

ამას წინათ ერთი ლამაზმანი პარლამენტარი გოგონა გამოვიდა გადაცემა „ობიექტივში“ და სრული დამაჯერებლობით განაცხადა, რომ დღეს პარლამენტის მთავარი პრობლემა „მავთულხლართები“ ყოფილა, რუსებმა ჩვენსკენ რომ გადმოწიეს?!

ბრავო პარლამენტარებო, თუ თქვენ ამაზე დიდი საფიქრალი არ დაგრჩენიათ! ვითომ მავთუხლართების პრობლემა „ლეჩკომბინატის“ დემონტაჟზე უფრო მნიშვნელოვანია? იქ ძროხებს ბალახი დააკლდა, აქ კი ხალხს — მკურნალობა. იქ ოსები მოიქცნენ უმსგავსოდ, აქ კი — ქართველები. იქ — რუსების დახმარებით, აქ — ვიღაც უცხოელების ხელით. მაინც, რა განსხვავებაა? ორივეს შედეგს ერთი სახელი — **ანექსია** ჰქვია და ერთი და იგივე აზრა ამშვენებს მავთულხლართსაც და რკინის ღობესაც: **„შესვლა აკრძალულია“.**

მართალია, ინტერვენციის წყალობით დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩვენს მიწებზე სხვები გაბატონდნენ, ტყვიების წვიმაც ვიხილეთ ჩვენს თავზე და სისხლიც ბევრი დაიღვარა, მაგრამ დოლარის ტყვიები გაცილებით მზაკვრული აღმოჩნდა, რადგან მათი შემწეობით ინვესტიცია ანექსიად გარდაიქმნა. ჩვენი მიწა-წყალი უცხოელებს ჩაუვარდათ ხელში და აზრა **„შესვლა აკრძალულია“** ყველაზე ხშირად გვხვდება ამ დუხჭირ მიწაზე. დღეს სწორედ ამ დოლარებით ხდება ინტერვენცია აჭარაში.

სწორედ ეს ინვესტიციებია, თურქები, ჩინელები, არაბები თუ ინდოელები რომ დაეპატრონნენ ჩვენს მიწებს. ქართველებს შავ მუშებად თუ გამოიყენებენ, ისიც მონური შრომისათვის. განა ცოტაა ამისი მაგალითები?

როგორც იქნა, გლეხებმა ხმა ამოიღეს და ინდოელ ინვესტორ-ინტერვენტებს შეუტიეს ისევ უსინდისო ქართველების მიერ გაყიდული მიწების დასაბრუნებლად. გავა დრო, და არაბებს, ჩინელებს თუ თურქებსაც შეუტევენ, თუ ძალა არ გამოეცალათ და არ დაბეჩავდნენ.

რას ნიშნავს უცხო ტომთა ინვესტიცია და რა „სიკეთე“ მოგვიტანა იმ დოლარებმა, რომლებიც უხვად შემოდის საქართველოში?

თუ საქართველო უცხოელი ინვესტორებისთვის ასეთი მიმზიდველია, ქართველი მილიონერები რატომ არ ანხორციელებენ ინვესტიციებს თავიანთ სამშობლოში?

თუმცა, ქართველებიც ყიდულობენ სახელმწიფოსგან მიწას, რათა შემდეგ უცხოელებს მიჰყიდონ. სწორედ ამას ჰქვია „წმინდა ქართული ბიზნესი“, რასაც ადრე „სპეკულაციას“ ვუწოდებდით. მათთვის მთავარი ყიდვა-გაყიდვაა და ესაა ჩვენი უბედურება, თორემ ნამდვილი ბიზნესმენი ძალზე ცოტაა.

ამას წინათ „ობიექტივის“ ეკრანიდან შევიტყვე, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ორიოდე წლის წინათ რომელიღაცა კანადურმა ფირმამ ონკოლოგიის სამეცნიერო- სამკურნალო ცენტრი და რა ნაგვის ბუდედ გადააქცია ის. ეს ხომ ქართული მედიცინის გასანადგურებლად გადადგმული ნაბიჯი იყო, რომელიც დამპყრობმა ინვესტორებმა გადადგეს და ასეთ ნაბიჯებს მრავლად უნდა ველოდოთ, თუ სასწრაფოდ გონს არ მოვეგეთ. „სასწრაფო დახმარებაც“, პირველყოვლისა, ჩვენს გონს სჭირდება და კვლავ დიდი ვაჟას ვედრება მიდგას თვალწინ: **„ღმერთო, მიეცი გონი ქართველებს“**

იმედის ნაპერწკალი აინთო, როცა შევიტყვე, რომ პარლამენტმა აკრძალა მიწების გაყიდვა 2014 წლის ბოლომდე. ღმერთმა ასეთი ნაპერწკლები ნუ მოგვაკლოს და იქნებ ჩვენი ჯოჯოხეთიც განათდეს?

**პროფესორი**
**მერაბ ჯიბლაძე**

## ალიან-ჩალიანი

### ქართულ პროდუქციას ევროპულ ბაზარზე პრობლემა არ ექნება

**ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა ბრიუსელში ვიზიტისას განაცხადა. მისი თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ახალი ინვესტიციების შედეგად წარმოებული პროდუქცია შესაძლებელია ევროპის 28 ქვეყნის ბაზარზე მოხვდეს, რაც დამატებითი სტიმულია ინვესტორებისთვის და რაც დამატებით სამუშაო ადგილებს ნიშნავს.**

**— დღეს შემიძლია, მოგახსენოთ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, დაუშვებდნენ თუ არა ქართულ პროდუქტს ევრობაზარზე, ეს გადაწყვეტილია დადებითად. ამაში სერიოზული როლი ითამაშა შრომის კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა და დღეისათვის შეგვიძლია ვთქვათ, პოლიტიკურ დონეზე გადაწყვეტილია, რომ მომავალი სამი წლის განმავლობაში ქართულ პროდუქციას ევროპულ ბაზარზე არ ექნება პრობლემა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მათ შორის ინვესტიციების მოზიდვითაც. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ახალი ინვესტიციების შედეგად წარმოებული პროდუქცია, შესაძლებელია, მოხვდეს ევროპის 28 ქვეყნის ბაზარზე, რაც დამატებითი სტიმულია ინვესტორებისთვის, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს ნიშნავს, — აღნიშნა უსუფაშვილმა.**

**მისი თქმით, ევროპის მხრიდან პოლიტიკური მიმართულებით მხარდაჭერა არის მყარი.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქართულმა ღვინომ განბაჟება გაიარა, მაგრამ საცალო გაყიდვა ჯერ კიდევ არ დაწყებულა

**ქართული ღვინის პირველმა პარტიამ რუსეთში საბაჟო კონტროლი უკვე გაიარა და მოხვდა თავისუფალ ბრუნვაში, მაგრამ დახლებზე მოსახვედრად სავაჭრო ქსელში დისტრიბუტორს მოუწევს შექმნას ნაკადი, — აცნობა სააგენტო „პრაიმს“ საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა.**



„ეს პირველი მერცხალია, წვეთი ზღვაში — თუ ხალხი ახლა გაიქცევა მაღაზიებში, ვერაფერს იყიდის“, — შენიშნა დავითაშვილმა. ღვინის პირველმა პარტიამ 30 ათასი ბოთლის ოდენობით რუსეთის საზღვარი გადაკვეთა 15 ივნისს. ეს არის „დუგლაძის ღვინის კომპანიის“ პროდუქცია. მთლიანად სელიატინოს საბაჟო პუნქტში ამჟამად „განბაჟებას“ 300 ათასი ბოთლი ღვინო ელოდება. „კახეთის ტრადიციული მეღვინეობის“ ქართული კონიაკის პირველი პარტია 21 ათასი ბოთლის ოდენობით უკვე შევიდა რუსეთის დედაქალაქში.

**„რომ დავტვირთოთ რუსეთის ბაზარი როგორმე, რომ შეგვეძლოს ქართული ღვინის პროდუქციის ყიდვა, თუ მაღაზიებში არა სახლების მახლობლად, სუპერმარკეტში მაინც ნახევარი საათის სავალზე, ჩვენი გაანგარიშებით, საჭირო იქნებოდა შემოგვეტანა დაახლოებით 3-4 მილიონი ბოთლი“,** — მიაჩნია საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს. **ამას უნდა ველოდოთ შემოდგომის ბოლოსთვის, ზამთრის დასაწყისისთვის,** — დაუმატა მან.

მისი შეფასებით, ჩატვირთვის პიკი იქნება ახალი წლისთვის და, უკეთეს შემთხვევაში, ქართული ღვინის მიწოდებამ 2013 წელს შეიძლება 5 მილიონ ბოთლს მიაღწიოს. ამ დროს, ქართულ ღვინოზე სააქციზო მარკა გამოშვებულია მხოლოდ ერთი მილიონი.

როდესაც კომენტარს უკეთებდა ქართული ასოციაცია სომელიეს პრეზიდენტის შალვა ხეცურიანის გამოსვლას, დავითაშვილმა დააზუსტა, რომ მის მიერ ხსენებული მიწოდებების მოცულობა რუსეთის ფედერაციაში 10 მილიონი ბოთლის ოდენობით, მოსალოდნელია კალენდარული წლის შედეგების მიხედვით და არა 2013 წლის ბოლომდე.

ქართული ღვინოების, მინერალური წყლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთის ბაზარზე შემოტანა აიკრძალა 2006 წლის გაზაფხულზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა გამწვავების ფონზე. აკრძალვის ოფიციალურ მიზეზად დასახელდა ქართული პროდუქციის დაბალი ხარისხი.

**„პრაიმი“**

# დაკავებები საქართველოში წამებათა საქმესთანაა დაკავშირებული

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქვეყნის რამდენიმე მცხოვრები დააკავა იარაღის უკანონო შეძენისა და შენახვის ბრალდებით.**

დაკავებულთა შორის არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი მოქმედი და ერთი ყოფილი თანამშრომელი.

იტყობინებიან, რომ მათ შორის არის ადამიანი, რომელიც აწარმოებდა სექსუალურ ძალადობას, რაც აღბეჭდილია ვიდეოჩანაწერებში და რაც აღმოჩნდა მიწისქვეშა სამალავებში დასავლეთ საქართველოში.



სამართალდაცვის ორგანოები ვარაუდობენ, რომ საქმეში წამებებთან დაკავშირებით მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამი ყოფილი მაღალი რანგის ჩინოვნიკი — მეგის ქარდავა, კოხტა კოდუა და დავით ჩაგინავა. ყველა მათგანი საქართველოს ფარგლებს გარეთაა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანახმად, კოდუასა და ჩაგინავაზე გამოცხადდება საერთაშორისო ძებნა, მეგის ქარდავა კი იძებნება ინტერპოლის „წითელი ცირკულარით“.

ამას გარდა, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განმარტეს, ამჟამად გამოძიება მიმდინარეობს ექვს პირთან დაკავშირებით, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს მოქმედ, სამხედრო პოლიციის ორ ყოფილ და პოლიციის ორ ყოფილ თანამშრომელზე.

### მიწისქვეშა სამალავები

**იმის შესახებ, რომ დასავლეთ საქართველოში აღმოაჩინეს სამალავები ჩანაწერებით, რომლებზეც აღბეჭდილია წამება, სექსუალური ძალადობა, დამამცირებელი მოქმედებები და ცემა სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა ამ დღეებში.**

სამართალდაცვის ორგანოების თანახმად, სამალავებში დიდი ოდენობით აღმოაჩინეს აგრეთვე, ასაფეთქებელი მოწყობილობანი, და ასაფეთქებელი ნივთიერებანი, ცეცხლსასროლი იარაღი, კავშირგაბმულობის საშუალებები, აგრეთვე, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებები.

**„ჩხრეკის დროს ამოღებულია ფოტოგრაფიებისა და ოპოზიციურად განწყობილი პირადი მონაცემების არქივი, კერძოდ იმ პირებისა, ვინც ოპოზიციურად იყო განწყობილი წინა მთავრობის მიმართ და რომელთა დაპატიმრებაც დაგეგმილი იყო სხვადასხვა ფალსიფიცირებული ბრალდებებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში 2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში“,** — ნათქვამია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

წინა დღით შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ნაწამებ პირთა პიროვნება უკვე დადგენილია.

**„ეს პრობლემა არ ატარებდა ლოკალურ ხასიათს, — განაცხადა ღარიბაშვილმა. — ეს იყო სისტემური პრობლემა, ასეთი იყო წინა მთავრობისა და წინა რეჟიმის პოლიტიკა“.**

მინისტრის სიტყვებით, საზოგადოებამ უნდა მიიღოს პასუხი იმის შესახებ, თუ ვინ იყო ყოველივე ამის უკან.

იმ დროს, შენიშნა ღარიბაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ვანო მერაბიშვილი — ექსპრემიერი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი, რომელიც ამ მომენტში წინასწარი პატიმრობის კამერაში იმყოფება.

### წინა მთავრობის საქმეა?

**ამ დროს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მიმდინარე ძიებას.**

**„საქმე შეეხება აბსოლუტურად არაადამიანურ და უმძიმეს დანაშაულს. აქ არ შეიძლება იყოს სხვა აზრი, გარდა იმისა, რომ ის პირები, ვინც ამ დანაშაულს სჩადიოდნენ, უნდა დაისაჯონ მთელი სიმკაცრით“,** — განაცხადა ბაქრაძემ.

საქართველოს ყოფილი მთავრობა ხშირად იყო კრიტიკის ობიექტი სამართალდამცველების მხრიდან საქართველოს ციხეებში მდგომარეობის გამო.

მაგრამ ნამდვილი შოკი საზოგადოებაში გამოიწვია ერთ-ერთ ციხეში წამებათა კადრებმა, რომელიც შარშან სექტემბერში, პარლამენტის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გავრცელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

ბევრ ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ ის სკანდალი პირდაპირ აისახა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგზე, პარტიისა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის.

შარშან 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებში გამარჯვება მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის კოალიციურმა „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**„რვიანი“ უძლური აღმოჩნდა. აშშ სახელმწიფო მდივანი მზად არის, დაბომბოს სირია**

**მიუხედავად ამ დღეებში ჩრდილოეთ ირლანდიაში „დიდი რვიანის“ ლიდერების მიერ სამიტზე სირიასთან დაკავშირებულ კომუნიკეზე ხელმოწერისა, რომელშიც ნათქვამია, რომ კონფლიქტი უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზით, ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ცხრება საბრძოლო რიტორიკა. ამავე დროს, თავად სირიაში რეზოლუცია უგულებელყვეს — ჟენევაში კონფერენციის ვადები იცვლება.**

* * *

**კორიდა გზაზე: ესპანელმა წააქცია გამოქცეული 200-კილოგრამიანი ხარი**



**მალაგაში შემთხვევით გამვლელს თავს დაესხა გააფთრებული ცხოველი, რომელიც გამოიქცა სატვირთო მანქანიდან, რითაც იგი გადაჰყავდათ. მაგრამ გამვლელი არ დაიბნა: მან ხარს კისერში წაავლო ხელი და მიწას მიაბჯინა იგი. დასახმარებლად მოვიდნენ გვერდით მიმავალი მანქანების მძღოლები. ერთობლივი ძალისხმევით მათ თოკით შებოჭეს ცხოველი. შეტაკების დროს ორი ადამიანი დაიჭრა.**

* * *

**მარსის ფოტოპანორამა „ჩიტიდან“ და ახალი აღმოჩენა: პლანეტაზე იყო იმდენივე ჟანგბადი, რამდენიც დედამიწაზე**



**ბრიტანელმა პლანეტოლოგებმა შეისწავლეს ძველი ქანები მარსის კრატერ გუსევიდან და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისინი გაჟღენთილია ჟანგბადის უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე მეტეორიტები. თუმცა, ესენი უფრო ახალგაზრდა არიან. ქანები ჟანგბადით გამდიდრდა ნორჩი მარსის ატმოსფეროსთან კონტაქტის დროს. ამ დროს „ნასამ“ შეადგინა მარსის მეტად მიმზიდველი პანორამა ცხრაასი ფოტოსგან.**

* * *

**აფეთქებების სერიამ ჩინეთის რესტორანში ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 150 დაიჭრა**

**დაზარალებულთა შორის არიან როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ისე მეხანძრეები, რომლებიც სამაშველო ოპერაციას აწარმოებდნენ უკანასკნელი აფეთქების მომენტში. საგანგებო შემთხვევის შედეგად დაზიანებულია სამი სახანძრო გაანგარიშების მანქანა, ჩაიმსხვრა მრავალი შენობის ფანჯრები.**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ლიტერატურული წიაღსვლები

# იყო კი პუშკინი ზანგი?

წელიწადში ორჯერ აღინიშნება პუშკინის თარიღები – მისი დაბადების და გარდაცვალების დღეები. და უკვე დიდი ხანია, ამას შევეჩვიეთ. მაგრამ არის რაღაცები, რისი მიჩვევაც არ ღირს. პრაქტიკულად ყოველდღე გვესმის ტელევიზორის ეკრანებიდან ან ვკითხულობთ გაზეთებში, უდიდესი რუსი პოეტი ზანგი იყოო. აქ არ ვისაუბრებ იმათ კულტურულ დონესა და განათლებულობაზე, ვინც დაბეჯითებით ავრცელებს ამ ჰიპოთეზას. ძალიან ხშირად ეს ხალხი არც ისე სულელია, აქვს უშუალო (თითქოსდა) დამოკიდებულება კულტურასთან და შესანიშნავად ესმის, რასაც აკეთებს. მაგრამ რისთვის სჭირდებათ ეს – ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი. ჯერ კი ცოტა საცნობარო ინფორმაცია.

ცოტამ თუ იცის, რომ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და ყველაზე მეტი გამოცემული წიგნის ავტორი ფრანგი მწერალი ალექსანდრ დიუმა (უფროსი) იყო კვარტერონი, ესე იგი ერთი მეოთხედით შავკანიანი. მიუხედავად იმისა, ძნელია წარმოიდგინო თანამედროვე ფრანგი (თუ იგი მიგრანტი არ არის, რომელმაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო), რომელიც მანიაკალურად დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ „სამი მუშკეტერისა“ და „გრაფ მონტე-კრისტოს“ ავტორი წარმომავლობით ზანგია. ფრანგებისთვის დიუმა – ეს არის სიამაყე, ურყევი ბრენდი, ეროვნული სულიერების განსახიერება. ისინი არც ფიქრობენ, თუ რამდენი და რა სახის სისხლია მასში.

ზუსტად ასე არ კომპლექსდებიან სხვა თავიანთი სახელოვანი პროზაიკოსების, ფილოსოფოსებისა და პოეტების ემილ ზოლას, მარსელ პრუსტის, გიიომ აპოლინერის, ჟან პოლ სარტრის, რომენ ჰარის, ალბერ კამიუს – ჩამოთვლა კიდევ დიდხანს შეიძლება – წარმომავლობასთან დაკავშირებით. მათ შორის არა მხოლოდ გალთა „განზავებული“ შთამომავლები არიან, არამედ ხშირად ისეთი ადამიანები, რომლებსაც ერთი წვეთი ფრანგული სისხლიც კი არა აქვთ. და რა მოხდა? არაფერიც არ მოხდა. სავსებით გასაგებია, რომ რაც უფრო გავლენიანია ქვეყანა, რაც უფრო ვრცელია მისი კოლონიები მსოფლიოში, რაც მეტი ხალხი და რასები აჰყავს მას თავისი ფრთების ქვეშ – მით უფრო მოსალოდნელია კარიერული წინსვლა სხვა ეთნოსისა და ერების წარმომადგენელთა შორის. არა მხოლოდ ხელოვნებაში, არამედ საერთოდ ყველა დარგში.

ამ თვალსაზრისით ცოტა უფრო რთულადაა საქმე გერმანელებთან და ავსტრიელებთან დაკავშირებით (გასაგები ისტორიული მიზეზების გამო). და მაინც აქ არავის გამოუგდია ლიტერატურიდან ჰაინრიხ ჰაინე, ლიონ ფეიხტვანგერი, ფრანც კაფკა ან, ვთქვათ, სტეფან ცვაიგი. აქ კი არაფრით შემიძლია არ ვახსენო ფრიდრიხ ნიცშე. ეს როგორ, ოცნებები ზეადამიანზე, ასე თაყვანისცემით რომ აღიქვეს მესამე რეიხში... ამ დროს ნიცშე გერმანელების მიმართ საკმაოდ კრიტიკული იყო, რომ არა ვთქვათ, ზიზღითაც კი ეკიდებოდაო იმათ. ის თავის თავს წმინდა სისხლის პოლონელ აზნაურს უწოდებდა, ნიცკების ჩამომავლობისას. ამ დროს გესლიანად აღნიშნავდა, რომ თუ გერმანელები დიდი ერია, „მხოლოდ იმიტომ, რომ იმათ ძარღვებში ასე ბევრი პოლონური სისხლი ჩქეფსო“... ერთი წუთით, რაღა გამოდის? სახელგანთქმული ქერათმიანი ბესტიები – ეს, გამოდის... პოლონეთში ყოფილან? მამაკაცებმა კი არ იცოდნენ... ერთი სიტყვით, ამაოდ უწოდა ჰიტლერმა ნიცშეს მუზეუმს ნაციონალ-სოციალისტური იდეოლოგიის ცენტრი – ყურადღებით უნდა წაეკითხა ფილოსოფოსის თხზულებანი. კერპი კი გამოდგა არა ნაღდი, არამედ ჩვეულებრივი, სლავების ტომისა!

მაგრამ დროა გავიხსენოთ ნისლიანი ალბიონი. ინგლისური კულტურის კლასიკოსი ჯოზეფ კონრადი – ეს სინამდვილეში იუზეფ თეოდორ კონრად კოჟენევსკია – ოდესღაც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი. ინგლისური მეტყველება მან პირველად თორმეტი წლის ასაკში გაიგონა. მაგრამ არაფერი – ხომ გააღწია სიმაღლისკენ, როგორც ვხედავთ. და დიდი ინგლისური ლიტერატურა ლამის სანახევროდ დაწერილია ირლანდიელებისა და შოტლანდიელების მიერ. ვალტერ სკოტი, ოსკარ უაილდი, არტურ კონან-დოილი, ბერნარდ შოუ... იქნებ ინგლისელებში მალავენ ამ „სამარცხვინო“ ფაქტებს? არაფერი შეგეშალოთ. პირიქით – ამაყობენ იმით, რომ მათმა ენამ გააერთიანა მრავალი ხალხი, რომელთა წარმომადგენლებმაც შეძლეს, რომ შეეტანათ თავიანთი წვლილი ქვეყნის კულტურაში.



ფრანგებიც ამაყობენ, გერმანელებიც და შვედებიც. რუსეთში რაღა ხდება? და აგერ, ბატონო, „პუშკინი – ზანგია!“ აი, მათთან დიუმა თავისი შავი მეოთხედით – ფრანგია. ჩვენთან კი პუშკინი ერთი მერვედი აფრიკული სისხლით – აუცილებლად ზანგი! და ეს მაშინ, როცა მასში ერთი მერვედი გერმანული სისხლია (აი, ექვსი მერვედი ანუ დარჩენილი 75 პროცენტი რუსულია, – ეს ეტყობა, არაფერია, არ ითვლება). გერმანელებიც – ეს საინტერესო არაა, აი ზანგები კი... გახსოვთ ძველი კინოფილმი „ცირკი“ მთავარ როლში ლიუბოვ ორლოვასთან ერთად? იქ, სადაც პატარა ზანგ ბიჭს უმღერდნენ იავნანას? და პროპაგანდას უწევდნენ: „შობეთ, რამდენიც გინდათ. შავგვრემანებიც, თეთრგვრემანებიც, წითურებიც თუ გინდათ ცისფერებიც... უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ პუნქტში ყველაზე დიდ წარმატებას მივაღწიეთ. მაგრამ არც პირველი დაგვვიწყებია. ამიტომ აფრიკელი პოეტის სახეს ჩვენს მოსახლეობას თავს ვახვევდით საკმაოდ დიდხანს.

შეხედეთ ტროპინინის ან კიპრენსკის მიერ პუშკინის სიცოცხლეში შექმნილ პორტრეტებს. ხედავთ იქ ზანგს? სავსებით ევროპული გარეგნობა. მხოლოდ ეს ბაკენბარდებია „საეჭვო“.. ასე ივან ანდრიას ძე კრილოვს ეს ბაკენბარდები უფრო ხშირი აქვს, რა გამოდის აქედან? პუშკინის თანამედროვეები აღნიშნავდნენ, რომ ის იყო ნაცრისფერთვალება, წაბლისფერთმიანი. აი განვითარებული ინტერნაციონალიზმის ეპოქაში კი მას განგებ ხატავდნენ შავგვრემნად, თვალებგადმოკარკლულად, დიდი ცხვირით, გადმობრუნებული ტუჩებით, უბრალოდ, ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ შეედარებინათ იგი ჩვენი მხიარული მეგობრებისთვის აფრიკული ქვეყნებიდან, რომლებსაც ასე უყვართ ყოველგვარი ახალგაზრდული ფორუმები, სადაც უხვად ტოვებდნენ არც ისე მომღიმარ „ფესტივალის ბავშვებს“.

და განა მხოლოდ პუშკინია ჩვენში „არასწორი“? აი, კიდევ ლერმონტოვს რომელიღაც წინაპარი შოტლანდიიდან ჰყავდა, გაგიგონიათ, ხალხო?! აი, ბლოკს... და ყოველივე ამას გულდასმით ასახავენ ოქმებში, აღნუსხავენ ხელის ჩამოსართმევი კაცუნები, რომლებიც ნიკაპზე დუჟმოყრილები გამოდიან რასიზმისა და ნაციზმის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ნიურნბერგის რასისტული კანონებით, გერმანიის მოქალაქეები, რომლებსაც ერთი მეოთხედი ებრაული სისხლი ჰქონდათ, ებრაელებად მაინც არ ითვლებოდნენ. მაგრამ ის, რაც ვერ მოიფიქრეს ჩვენმა ნაციონალ-სოციალისტებმა, მშვიდად ასე განახორციელეს, ასახეს ცხოვრებაში ლიბერალურად განწყობილმა ინტელიგენტმა ანტიფაშისტებმა, ვისაც პუშკინის ერთი მერვედი აფრიკული სისხლი მიაჩნდა საკმარის საფუძვლად იმისა, რომ მისთვის ზანგი ეწოდებინათ. როგორც ვხედავთ, ისინი, ვინც გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ მათთვის გაეზომათ თავის ქალა, თავად აქტიურად აკეთებენ ამას რუს მწერლებთან დაკავშირებით. ჩაკირკიტებით ანგარიშობენ სისხლის პროცენტებს, ადგენენ რაღაც სიებს, წერენ წიგნებს.

„პუშკინი – ზანგია!“ – ეს არის საშვი რუსული კულტურის სამყაროში მათთვის, ვისაც არ აქვს ნიჭი, მაგრამ ცდილობს, გაძვრეს ეროვნული უმცირესობის კვოტით. დიდი ხნის წინათ, ჩემი ახალგაზრდობის ხანაში, საუბარი მქონდა აღმოსავლური ეროვნების ერთ ლიტერატორთან. ის მოსკოვის საკმაოდ დიდ გამომცემლობაში რედაქტირებას უკეთებდა რუსულ პოეზიას, და თავადაც ცდილობდა რაღაცის გარითმულად წერას. მახსოვს, მან მითხრა: „რა არის ეს რუსული ლიტერატურა?! პუშკინი არაა რუსი, ლერმონტოვი არაა რუსი... მეც არა ვარ რუსი...“ აქ მან თავმდაბლურად მიიდო ხელი მკერდზე. ახლა მისი სახელი რომ დავასახელო, ვინმეს ეს ბევრს არაფერს ეტყვის. მაგრამ ის ხომ იყო! ის ახლაც ცოცხალია, სულ რაღაც მემუარებს წერს, დიდი ხნის წინათ გადაყენებული თავისი დუნე და უფერული ნიჭის გამო. მაგრამ ის გადაყენებულია ახლა, ოდესღაც კი იყო დიდი კაცი! მართავდა, როგორც იტყვიან ხოლმე, ლიტერატურულ პროცესებს და მწვანე ახალბედებს თავში უჭედავდა, რომ რუსები ჩვენს ლიტერატურაში არ ყოფილან, არ არიან და არც იქნებიან!

მაგრამ არც ვლადიმირ დალს, არც ისააკ ლევიტანს იდიოტებისა და გაიძვერების დაცვა არ სჭირდებათ. მათ თავიანთი ადგილი რუსეთის კულტურაში დაიკავეს დიდი ხანია და მყარად. რასაც ვერ იტყვი იმათ შესახებ, ვინც გაჰკივის: „პუშკინი ზანგია! – არა, ეს პუშკინი კი არაა ზანგი, ეს თქვენა ხართ ზნეობრივი ზანგები! თქვენ, რასაკვირველია, ვერავინ ვეღარ გადაგარწმუნებთ, მაგრამ მაინც რა სასიამოვნოა გადმოვაგდოთ ქვა თქვენს დაჭაობებულ ბაღჩაში. შემდეგ კი გადავშალოთ პუშკინის ტომი და...

**იგორ პანინი,**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

№ 23.

# განცხადება

სს „ელმავალმშენებლის" აქციონერებს გაცნობებთ, რომ სს „ელმავალმშენებლის" წესდების 19.5 პუნქტის და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" 54.1[1] პუნქტის შესაბამისად, მე რამონ ჰენრი მარტინ ცუკეტომ, სს „ელმავალმშენებლის" აქციების 87%-ის მფლობელი აქციონერის შეზღუდული პასუხისმგებლობის კერძო კომპანიის **LOKO TRANS HOLDINGS B.V.**-ის დირექტორი **AlliedCorporate Management B.V.**-ის დირექტორმა განვიხილე შემდეგი საკითხები:

1. სს „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორის ზ. ცინცაძის ანგარიში სს „ელმავალმშენებლის" მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.
2. სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. სს „ელმავალმშენებლის" მიერ 2012 წელს მიღებული წმინდა მოგების განაწილების შესახებ.
4. სს „ელმავალმშენებლის" წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.
5. 2012 წლის შედეგების მიხედვით სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და წევრთა პრემირების შესახებ.
6. 2013 წლისთვის სს „ელმავალმშენებლის" აუდიტორის არჩევის შესახებ.

საკითხების განხილვის შედეგად მივიღე შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის" გენერალური დირექტორის ზ. ცინცაძის ანგარიში სს „ელმავალმშენებლის" მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.
2. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ერთობლივი წინადადება - სს „ელმავალმშენებლის" 2012 წლის წმინდა მოგების 748 554.73 ლარის (შვიდას ორმოცდარვა ათას ხუთას ორმოცდათოთხმეტი ლარი 73 თეთრი) აქციონერებზე დივიდენდის სახით განაწილება მოხდეს აქციათა რაოდენობის შესაბამისად:

➢ „LOKO TRANS HOLDINGS B.V." - 44118535 აქცია (87.00000%) 651242 (ექვსას ორმოცდათერთმეტი ათას ორას ორმოცდაორი) ლარი;

➢ „საქართველოს სახელმწიფო - 6473193 აქცია (12.76488%) 95553 (ოთხმოცდათხუთმეტი ათას ხუთას ორმოცდაცამეტი) ლარი;

➢ „შრომითი კოლექტივი (2591 აქციონერი) - 119232 აქცია (0.23512%) 1760 (ათას შვიდას სამოცი) ლარი.

3.1. აქციონერებზე დივიდენდის გადახდა გარდა აქციათა 87% მფლობელ აქციონერისა („LOKO TRANS HOLDINGS B.V."), განხორციელდეს 2013 წლის 1 სექტემბრამდე.

3.2. „LOKO TRANS HOLDINGS B.V."-ის წილი დივიდენდი აღიარებულ იქნას სააქციო საზოგადოების დროებით ვალდებულებად აქციონერის წინაშე.

3.3. სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორს ბ-ნ ზ. ცინცაძეს ვაძლევ უფლებამოსილებას საზოგადოების საჭიროებისათვის თავისი შეხედულებისამებრ დროებით განკარგოს გაუცემელი დივიდენდის თანხა.

4. დამტკიცდეს სს„ელმავალმშენებლის" წესდება ახალი რედაქციით.

5. 2012 წლის შედეგების მიხედვით სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და წევრებს მიეცეს პრემია თითოეულს თვიური შრომითი ანაზღაურების 50% ოდენობით.

6. სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების თანახმად, სს „ელმავალმშენებლის" აუდიტორად 2013 წლისთვის არჩეულ იქნას შპს „ფინანსაუდიტი" (საიდენტიფიკაციო კოდი № 200032810, დარეგისტრირებული 1997 წლის 12 დეკემბერს თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ).

**სს „ელმავალმშენებლის" სამეთვალყურეო საბჭო**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ჭიდაობა

# ევროპიდან – სამი ვერცხლით



**ჩერნოგორიის ქალაქ ბარში გრძელდება ჭაბუკ ფალავანთა ევროპის პირველობა. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ასპარეზობა სამი ბრინჯაოს მედლით დაასრულა: კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ალექსანდრე კილაძე (42 კგ), შმაგი თოდუა (46) და რამაზ ზოიძე (58 კგ) ავიდნენ.**

დამოუკიდებელი ქართული ჭიდაობის ისტორიაში პირველად ჩემპიონატზე ჩვენი ქვეყნის ღირსებას გოგონები - გვანცა კარელიძე (38 კგ) და ანი ნაზარაშვილიც (49 კგ) დაიცავენ. 22-23 ივნისს ბარში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები მოსინჯავენ ძალებს.

## ჭადრაკი

# ზავმა ლიდერობა დააკარგვინა

**ორი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს სომხურ დილიჟანში მოჭადრაკე ქალთა გრან პრის გათამაშებაში. იქ უკვე 4 ტურის შეხვედრები გაიმართა.**

განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული აღმოჩნდა სწორედ



მეოთხე ტური, რომელშიც ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა ნანა ძაგნიძემ. იგი ყაიმზე შეუთანხმდა მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ ანა უშენინას. მომქანცველი პაექრობის შემდეგ, ასევე, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ბელა ხოტენაშვილი და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი). ძაგნიძის ზავმა ჰამფი კონერუს (ინდოეთი) და ანა მუზიჩუკს (სლოვენია) ჩვენებურთან ქულებით გათანაბრების საშუალება მისცა: კონერუმ ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას (რუსეთი) მოუგო, მუზიჩუკმა ევროპის ჩემპიონ ვიქტორია ჩმილიტეს (ლიტვა) გააჩერებინა საათი. ოლგა გირიამ (რუსეთი) ელინა დანიელიანი (სომხეთი) დაამარცხა. თუვშინთუგს ბათჩიმეგი (მონგოლეთი) და ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) დაზავდნენ.

**ოთხი ტურის შემდეგ:** ძაგნიძე, კონერუ, მუზიჩუკი — 3-3, ბათჩიმეგი, სტეფანოვა — 2,5-2,5, გირია, უშენინა — 2-2, დრონავალი, ხოტენაშვილი — 1,5-1,5, დანიელიანი, კოსინცევა, ჩმილიტე — 1-1 ქულა.

**გრან პრის მონაწილეებმა გუშინ დაისვენეს, დღეს ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:** დრონავალი — ჩმილიტე, დანიელიანი — ბათჩიმეგი, უშენინა — გირია, კოსინცევა — ძაგნიძე, ხოტენაშვილი — კონერუ, მუზიჩუკი — სტეფანოვა.

**ლექსო ცინცაძე**

## კალათბურთი

# ვიქტორ სანიკიძე იტალიის ჩემპიონია



**საქართველოს ნაკრების წევრი ვიქტორ სანიკიძე გიორგი ცინცაძის და მანუჩარ მარკოიშვილის შემდეგ ჩვენებურთაგან მესამე კალათბურთელია, ვინც საკუთარი კლუბის მაისურით ოქროს მედალი მოიპოვა. იტალიის ჩემპიონობა მან სიენას „მონტეპასკისთან" ერთად დაიმსახურა.**

სანიკიძის გუნდმა რეგულარული სეზონი მე-5 ადგილზე დაასრულა, აი, ფლეი ოფში კი შეუდარებელი იყო — ფინალში „ასეა რომას" 4:1 მოუგო.გადამწყვეტი სერიის მე-5 პაექრობა რომში გაიმართა. სტუმრებმა განსაკუთრებით შესვენების შემდეგ იყოჩაღეს და 79:63 გაიმარჯვეს, ზედიზედ მეშვიდე ჩემპიონობაც იქვე იზეიმეს. „მონტეპასკის" მთავარმა მწვრთნელმა ლუკა ბანკიმ, რომელიც მომავალ სეზონში უკვე მილანის „ემპორიო არმანის" ჩაუდგება სათავეში,ქართველი ფორვარდი მხოლოდ 4 წუთით შეიყვანა მოედანზე. ცინცაძემ 2 ქულითა და 2 მოხსნით გამოიჩინა თავი.

## სანთელი

# გარდაიცვალა ფიბა-ევროპის პრეზიდენტი



**საკალათბურთო** სამყარომ შოკისმომგვრელი ამბავი შეიტყო — უეცრად გარდაიცვალა ფიბა-ევროპის 50 წლის პრეზიდენტი ოლაფურ რაფნსონი. ისლანდიელი შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში ფიბა-ს ახალი შტაბ-ბინის გახსნაზე იმყოფებოდა. ცნობისთვის, რაფნსონი თავადაც კალათბურთელი გახლდათ და 1988 წელს „ჰაუკარის" მაისურით ისლანდიის ჩემპიონიც გახდა. იგი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც იყო, ფიბა-ევროპის პრეზიდენტად კი 2010 წელს აირჩიეს.

## მხატვრული ტანვარჯიში

# ოქროც, ვერცხლიცა და ბრინჯაოც

**ქართველ მხატვრულ ტანმოვარჯიშეებს ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვხვდებით საერთაშორისო ტურნირების კარცხლბეკზე. ახლაც ისინი ხელდამშვენებული დაბრუნდნენ უცხოეთიდან.**

ფრანგულ კალეში თინათინ ნადირაშვილისა და თამილა ტლაშაძის ხელმძღვანელობით უფროსებში შესანიშნავად იასპარეზა ლიანა ცეცაძემ — მრავალჭიდში მან 64,4 ქულით ყველას აჯობა. წარმატებული გამოდგა ცალკეული საგნებით შეჯიბრებაც: რგოლით (16,0), ბურთითა (15,75) და გურზებით (17,0) პირველი ადგილები დაიკავა, ხოლო ბაფთით (14,9) მეორე იყო. მრავალჭიდში ვერცხლის მედალი ხვდა კანადელ ანაბელა კოვაჩს (62,55), ხოლო თბილისელი მედეა გათენაძე 61,75 ქულით მესამე ადგილზე გავიდა.



ლიანა ცეცაძე

16-წლამდელებში სოფიო ფარულავამ იყოჩაღა - მრავალჭიდში მან 57,6 ქულით მეორე ადგილი დაიკავა (პირველი ადგილი 58,25 ქულით რუს მარგარიტა მეჟინას ერგო), სამაგიეროდ, ბურთით, გურზებითა და ბაფთით პირველი იყო, რგოლით ვარჯიშში კი ვერცხლის მედალს დასჯერდა.



გაბრიელა ხვედელიძე

სტამბოლის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში 10 ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ. ბელა კობალაძისა და ინგა კიკვაძის შეგირდებმა სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს.

16-წლამდელთა მრავალჭიდში გაბრიელა ხვედელიძემ 58,75 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი მოიპოვა. გამარჯვებულს 8 ქულით ჩამორჩა უკრაინელი ვერონიკა ვოზნა. უფროსების მრავალჭიდში 49 ქულით მეორე ადგილი ერგო თბილისელ თამარ ჭანტურიძეს, რომელიც თურქ ბასაკ ერტეკინს 3,6 ქულით ჩამორჩა. 2002 წელში დაბადებულთა შორის ორი პირველი ადგილი დაიკავა თამუნა ხელაძემ — მან ბურთითა (12,6) და რგოლით (12,8) ვარჯიშში აჯობა ყველას. 10-წლიანებში მეორე ადგილებზე გავიდნენ ქეთევან არბოლიშვილი (უსაგნოდ ვარჯიშში — 10,65) და ნიტა ლომიძე (რგოლით — 9,9), ხოლო სალომე ოქროპირიძე სახტუნელათი (9,35) მესამე იყო.

**გივი გაგუა**

## მძლეოსნობა

# მთელი საქართველო – „დინამო-არენაზე"

**საქართველოს ყველა კუთხიდან უამრავმა გოგო-ბიჭმა მოიყარა თავი „დინამო-არენაზე", რომელმაც, მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით, 1999-2000 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა ქვეყნის პირველობას უმასპინძლა.**

საგულისხმოა, რომ ამ წლებში დაბადებული ათლეტები 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში იასპარეზებენ და ფედერაცია ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ტალანტები გამოავლინოს და ორი წლის შემდეგ საქართველოს დედაქალაქში კონკურენტუნარიანი გუნდი გამოიყვანოს. „დინამო-არენაზე" ამჯერად მაკა ჩაკაბერია, რომან ბადრიძე (ორივე-100 მ), ნინო წიქვაძე და ლაშა გურგენიძე (ორივე-ბადრო) გამოირჩნენ. გამოჩდნენ სხვა იმედისმომცემი ათლეტებიც, რომელთა დაოსტატებას დრო და ხელშეწყობა სჭირდება. ორდღიანი პაექრობების შემდეგ საქართველოს პირველობაზე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

**100 მ.** მარიამ ჩაკაბერია (ზუგდიდი, 12,75), რომან ბადრიძე (თბილისი, 11,82), **100 მ. თარჯრბენით**. ანა ღუღუნიშვილი (თბილისი, 20,34), **110 მ. თარჯრბენი**. მურთაზ მეგენეიშვილი (ქუთაისი, 21,70). **200 მ.** ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 28,0), გიორგი დობორჯგინიძე (თბილისი, 25,96), **400 მ.** მაკა სანიკიძე (ვანი, 1.05,54), ელგუჯა მახნიაშვილი (თბილისი, 55,45), **800 მ.** ლიდა ბერძენიშვილი (ბორჯომი, 2.31,0), სოინ ჰასანოვი (თბილისი, 2.18,8), **1500 მ.** მარი ფხალაძე (ჭიათურა, 5.26,50), დავით აბესაძე (თბილისი, 4.45,48), **სიგრძეზე ხტომა**. ელენე ტოლსტოვა (ოზურგეთი, 4,73), ვლადიმერ ამირგულიანი (თბილისი, 5,32), **სიმაღლეზე ხტომა.** ვიქტორია შიშოვალოვა (150), ზურაბ მიქაია (155), **ჭოკი**. დიანა ზოლოტუხინა (2,40). საბა სოსელია (ოთხივეთბილისი, 2,50), **ბირთვი.** სალომე თურმანიძე (გორი, 8,72), გიორგი კეთილაძე (ხონი, 12,38), **შუბი.** ანა ჩოხელი (თბილისი, 24,52), გიორგი კეთილაძე (ხონი, 40,83), **ბადრო.** ნინო წიქვაძე (42,67), ლაშა გურგენიძე (40,98), **სამხტომი.** ქეთი შველიძე (სამივე-თბილისი, 9,56). ირაკლი ბერიაშვილი (გორი, 11,37).



**გივი გაგულაშვილი**

## ფეხბურთი

# ბრაზილია და იტალია ნახევარფინალშია

**კონფედერაციის თასზე ზედიზედ მე-2 გამარჯვება იზეიმა ბრაზილიის ნაკრებმა, რითაც ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მექსიკელებთან შეხვედრისას ისევ „ბარსელონას" ახალწვეულმა ნეიმარმა გამოიჩინა თავი: მე-9 წუთზე მეტოქის მცველთა შეცდომით ისარგებლა და ბურთი მიწაზე დაუშვებლად ისე გაგზავნა მექსიკელთა კარისკენ, რომ მეკარე ხოსე კორონას მისი აღების შანსი არ დაუტოვა.**



მატჩის მეორე ნახევარში „სელესაომ" ორი გოლი გაიტანა: ჯერ ტიაგო სილვამ, შემდეგ კი ჟომ იყოჩაღეს. ბრაზილიის ნაკრებმა კონფედერაციათა თასზე ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ სამხრეთამერიკელებმა ამ ტურნირზე ბოლო მარცხი 2005 წელს, სწორედ, მექსიკასთან განიცადეს. ამასთანავე, ლუიშ ფელიპე სკოლარის შეგირდებმა შარშან ლონდონის ოლიმპიადის ფინალში მარცხისთვის რევანში აიღეს.

კონფედერაციათა თასის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში იტალიის ნაკრებმა იაპონელებს 4:3 სძლია და ისიც ნახევარფინალში გავიდა.იტალიელთაგან ბურთები დანიელე დე როსიმ (41-ე წუთი), მარიო ბალოტელიმ (52-ე, პენალტი) და სებასტიან ჯოვინკომ (86-ე) გაიტანეს, ერთიც იაპონელი მცველის — აცუტო უტიდაოს ანგარიშზეა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელთაგან კეისუკე ჰონდამ (21-ე, პენალტი), შინჯი კაგავამ (33-ე) და შინჯი ოკაძაკიმ (69-ე) იყოჩაღეს.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### გამოფენები

# ჯანმრთელებიც ვიყოთ, ლამაზებიც!



**სამედიცინო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული აღჭურვილობის, სტომატოლოგიის ფარმაცევტიკისა და ოპტიკის მე-13 სპეციალიზებულ, ასევე კოსმეტიკისა და ესთეტიკური მედიცინის მე-8, ერთბაშად ორ საერთაშორისო გამოფენას მასპინძლობს ამ დღეებში საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიას" მე-11 პავილიონი.**

პირველ მათგანში 15 ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, უკრაინის, გერმანიის, რუსეთის, შვეიცარიის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელის, იაპონიის, სხვების დაახლოებით ასი ცნობილი ბრენდის პროდუქციაა წარმოდგენილი. გამოფენის მუშაობის პერიოდში მონაწილე კომპანიების სპეციალისტები დაინტერესებულ ექიმებს წარმოდგენილი აპარატურის მუშაობაზე დაკვირვების საშუალებას აძლევენ, გასაცნობ ლექციებს ატარებენ, რომელთა მიზანია ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებათა მესვეურთათვის, ექიმებისთვის უახლესი ტექნოლოგიებისა და ტენდენციების შესახებ ინფორმაციას აწვდიან.

კოსმეტიკისა და ესთეტიკური მედიცინის მე-8 საერთაშორისო გამოფენაში მონაწილე კომპანიები კი 70-მდე ბრენდს წარმოადგენენ შემდეგ კატეგორიებში: ესთეტიკური მედიცინა, სახის, კანის, თმის მოვლის საშუალებები, დანადგარები და მოწყობილობები სილამაზის სალნებისთვის, ასევე პარფიუმერია და კოსმეტიკა. კომპანიების წარმომადგენლები ატარებენ პრეზენტაციებს, საჩვენებელ პროცედურებს, აგრეთვე მასტერკლასებს პროფესიონალ და მოყვარულ დამთვალიერებელთათვის. გამოფენის მიზანია სილამაზის ინდუსტრიაში მომუშავე სპეციალისტებისა და კოსმეტიკური, პარფიუმერული ნაწარმის მოწყობილობებისა და დანადგარების მწარმოებლებისა და დისტრიბუტორების ერთმანეთთან დაკავშირება.

ორივე გამოფენა 23 ივნისამდე გასტანს.

**დალი ხუნდაძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**





### დედაქალაქი

# ელექტრონული ტაბლოები: „ზურგით" დგომა უხერხულია

**ბოლო წლებში ხშირად გაგვიგია მკითხველებისგანაც, კოლეგებისგანაც — წავიდა ის დრო, როცა გაზეთში კრიტიკული მასალის გამოქვეყნებას, ანდა სატელევიზიო თუ რადიოეთერით მძაფრ გადაცემას სათანადო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მყისიერი რეაგირება მოყვებოდა ხოლმე, რაც, არსებითად, ნაკლოვანების გამოსწორებას ნიშნავდა. ახლა კი, ბატონო, თავადვე წერე, თავადვე იკითხეო.**

სიმართლე გითხრათ, მთლიანობაში ეს მოსაზრება სინამდვილეს შეესაბამება, საგაზეთო ფურცლებზე თუ ტელერადიოეთერში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ხშირად ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩება. ამასთან, სამართლიანი იქნება, ზოგიერთი სასიამოვნო გამონაკლისიც აღვნიშნოთ, რომელიც რამდენიმე კრიტიკულ გამოსვლას მოყვა, რაც, საბოლოო ანგარიშით, ისევ მოქალაქეებს გამოადგა, საზოგადოების სასიკეთოდ გაკეთდა.

ერთი ასეთი გამოსვლა ცოტა ხნის წინათ ჩვენს გაზეთსაც ჰქონდა, რომელიც თბილისში ავტობუსის გაჩერებებზე წარწერის „მოთხოვნით"... უკუღმა დადგმას ეხებოდა. ამ ერთგვარი „ფოტობრალდების" გამოქვეყნების შემდეგ დედაქალაქის ავტობუსების მარშრუტების გასწვრივ ასზე მეტ გაჩერებაზე ფირნიშებს წარეწერები წაღმაც გაუკეთეს, რამაც მგზავრთა მოწონებაც დაიმსახურა და მძღოლთა მადლიერებაც. ამის თაობაზე რედაქციაში არაერთი გამოხმაურება შემოვიდა, რის შესახებ დაიწერა კიდეც.



ამ ჯერზეც საქმე ავტობუსის გაჩერებებს ეხება, ოღონდ ამჯერად შენიშვნა ყველასთვის კარგად ცნობილ და, უდავოდ, მეტად მოსახერხებელ ელექტრონულ ტაბლოებს ეხება, რომლებზეც განთავსებული ინფორმაცია მგზავრთათვის დიდად დროული და საჭიროა, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს უამრავი ახალი მარშრუტის კონკრეტული გადაადგილების სქემა ბევრმა კარგად არ იცის.

საქმე ის არის, რომ ეს ტაბლოებიც მხოლოდ გაჩერებებზე მყოფთათვისაა განკუთვნილი, თავად მოძრავი ავტობუსების მძღოლთა და მგზავრთათვის მათზე წარწერების წაკითხვა და, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის გამოყენება (ვთქვათ, თუ რამდენად აგვიანდება ტრანსპორტს, რა ნომრები მოძრაობენ იმავე მიმართულებით, რა ინტერვალით და ა. შ.), ფაქტობრივად, შეუძლებელია. ეს ვითარება დედაქალაქის თითქმის ყველა ელექტრონული ტაბლოთი უზრუნველყოფილ ავტობუსის გაჩერებაზეა და მისი გამოსწორება, ვფიქრობთ, დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, რაც, უდავოდ, ყველას წაადგება.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

მიხეილ და ედისონ სალაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძმის

**დეკანოზ მამა დავით სალაძის**

გარდაცვალებას. მისამართი: ქ. მცხეთა, კოსტავას ქ. №15. გამოსვენება დავით აღმაშენებლის სახ. ეკლესიიდან 22 VI, 14 სთ.

---

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, თემურ კუჭუხიძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ მიხეილ და გულიკო სალაძეებს ძმისა და მაზლის

**დავით გიორგის ძე სალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შპს საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი და საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, გამოჩენილი ქართველი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქირურგიულ სნეულებათა №2 კათედრის გამგე, პროფესორი

**ნოდარ გრიგოლია**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, მეგობრებს და ახლობლებს.

### ინფორმაცია

## 1 სექტემბრიდან თამბაქოზე აქციზი იზრდება

**შესაბამისი** ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში შედის. როგორც მთავრობის სხდომის შემდეგ, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, მინისტრთა კაბინეტმა ცვლილებების პროექტი მოიწონა და ის პარლამენტს გადაეგზავნება.

ნოდარ ხადურის ინფორმაციით, პირველი სექტემბრიდან თამბაქოზე გაიზრდება აქციზი, კერძოდ, 15 თეთრით ფილტრიან და 5 თეთრით უფილტრო სიგარეტზე. დანარჩენი კი ბაზარზეა დამოკიდებული.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებების თანახმად, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემოსავალი 3 000 ლარის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებოდა, ამიერიდან, დაუბეგრავი ზღვარი ორმაგდება და 6 000 ლარი იქნება. ფინანსთა მინისტრის განმარტებით, ცვლილებები საგადასახადო კოდექსში სოფლის მეურნეობის წახალისების მიზნითაც შედის. კერძოდ, თუ აქამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება გათავისუფლებული იყო დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე, ახლა მათ ექნებათ ჩათვლის უფლების მიღების შესაძლებობა.

— რეალურად აქამდე ადგილობრივი წარმოება უფრო რთულ მდგომარეობაში იყო, ვიდრე იმპორტით შემოსული პროდუქცია. ჩვენ მინიმუმ გავათანაბრებთ მათ საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

## დაკავებულია უძრავი ქონების გამფლანგველები

**შიდა** ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა დიდი ოდენობით უძრავი ქონების გაფლანგვის ფაქტზე კიდევ ორი პირი დააკავეს. როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, მცხეთაში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 2435 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების გაფლანგვის ბრალდებით დააკავეს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე კახაბერ მელაძე და საკრებულოს აგრარულ საკითხთა ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე თეიმურაზ ვოლკოვი.

ამავე ბრალდებით დაკავებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ვახტანგ ყიფშიძეც.

— გამოძიებით დადგინდა, რომ 2008 წლის 12 ნოემბერს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვახტანგ ყიფშიძემ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, კახაბერ მელაძესთან და თეიმურაზ ვოლკოვთან წინასწარი შეთანხმებით გაფლანგა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები.

ვახტანგ ყიფშიძეს, კახაბერ მელაძეს და თეიმურაზ ვოლკოვს ბრალს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და „დ" ქვეპუნქტებით და მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით წარუდგენენ, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

**ინტერპრესი**

### კარიკატურისტის თვალით



— ბევრი ვეძებე, მაგრამ უკეთესი საჩუქარი დაბადების დღისთვის ვერ გინახე, საყვარელო...

ამირან ერაძის ნახატი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჩვენი კარაბადინი

# შხაპი მავნებელია?



**შხაპის ან აბაზანის ხშირი მიღება საპნის ან ჰელიუმის გამოყენებით, მავნეა ჯანმრთელობისთვის, აცხადებენ ისრაელელი მედიკოსები. ისინი არღვევენ კანის მჟავა-ტუტის ბალანსს. კანი ხდება მშრალი, ბუნებრივი საპოხი კი, რომელიც მას სოკოებისგან და მიკრობებისგან იცავს, თანდათანობით ინგრევა.**

მეცნიერები გვირჩევენ ვიბანაოთ საპნით კვირაში არაუმეტეს ორისა. ისინი ასევე არ გვირჩევენ დავიბანოთ თავი ყოველდღე, ვინაიდან შამპუნები და ბალზამები, რომლებიც ერთი ჩამობანით არ ჩამოირეცხებიან, დიდი ხნის განმავლობაში რჩებიან თმებზე.

# დაგვეხმარება ვაქცინა

**საშვილოსნოს ყელის კიბო — გარდაცვალების მთავარი მიზეზია ქალებს შორის ონკოლოგიური პათოლოგიით 18-დან 45 წლამდე. და რაც მთავარია — არის ყველა შესაძლებლობა თავიდან ავიცილოთ ეს დაავადება.**

## დამნაშავეა ვირუსი

**სტატისტიკით, საშვილოსნოს ყელის კიბოს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია რეპროდუქციული ორგანოების ავთვისებიან დაავადებებს შორის. ასეთ საშინელ დიაგნოზს ათასობით ქალს უსვამენ თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელთაგანაც ლამის ყოველი მეორე იღუპება. მაგრამ მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საშვილოსნოს ყელის კიბო — ესაა ერთადერთი იმ ონკოლოგიურ დაავადებათა შორის, რომელიც ადვილად ვლინდება ადრეულ სტადიაში და იკურნება. თანაც, ქალები, ვინც თავს აღწევს ამ დაავადებას, შობენ უფრო ჯანსაღ ბავშვებს.**

**კვირის ციფრები**

**მამაკაცების 48 პროცენტს შეუყვარდათ თავიანთი პარტნიორები პირველი შეხედვისთანავე. ქალებს შორის ასეთი სულ რაღაც 28 პროცენტი აღმოჩნდა.**

ამ საშიში დაავადების ბუნება კარგადაა ცნობილი; შემთხვევების უდიდეს უმრავლესობაში მას ადამიანის პაპილომის ვირუსი იწვევს. ამ ვირუსის, როგორც ფაქტორისა, რომელსაც საშვილოსნოს ყელის კიბოსთან მივყავართ, საფრთხე არის ის, რომ მას შეუძლია ჯანსაღი უჯრედები გადააქციოს ატიპურად, ე.ი. კიბოდ, — მიაჩნიათ სპეციალისტებს.

## სიყვარულის მსხვერპლი

**პაპილომის ვირუსით დასნებოვნების მთავარი გზაა სასქესო აქტი, თანაც პრეზერვატივი ამ ინფექციისგან ვერ გვიცავს.** თუ ოცდაათი წლის წინათ ჩვენ პრაქტიკულად ვერ ვხვდებოდით გოგონებს ამ დაავადებით, ამჟამად 18-19 წლის პაციენტები ასეთი დიაგნოზით იშვიათობა არ არის. ეს დაკავშირებულია ადრეულ სექსუალურ დებიუტთან. თანაც იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ სიცოცხლე, ხშირად მათ ამოჰკვეთენ ხოლმე რეპროდუქციულ ორგანოებს, ვინაიდან დაავადების დიაგნოსტირება ხდება ძალიან დაგვიანებით.

## საწინააღმდეგო მაჩვენებლები არ არის

**უახლესი საშუალება ადამიანის პაპილომის ვირუსის წინააღმდეგ — ესაა გოგონების ვაქცინაცია. სასურველია მისი გაკეთება სასქესო ცხოვრების დაწყებამდე. ამიტომ სხვადასხვა ქვეყანაში ვაქცინაცია ადამიანის პაპილომის ვირუსის წინააღმდეგ შეტანილია აუცილებელი აცრების კალენდარში. ჩვენთან ამ ვირუსის ვაქცინაცია — ნებაყოფლობითი საქმეა, თავად პრეპარატი კი საკმაოდ ძვირი.**

იდეალურია აცრა სამჯერ წლის განმავლობაში. ვაქცინის მეორე დოზა უნდა შევიყვანოთ მინიმუმ ერთი თვის შემდეგ პირველიდან, მესამე — სამი თვის შემდეგ, არაუადრეს. თუმცა, ორი ვაქცინაციაც კი, ზოგიერთი მეცნიერის დაკვირვებით, უკვე იძლევა კარგ დაცვას ვირუსისგან. და საერთოდ, უმჯობესია გავიკეთოთ თუნდაც ერთჯერადი ვაქცინაცია, ვიდრე სულ არ გავიკეთოთ იგი.

ვაქცინაციას ადამიანის პაპილომის ვირუსის წინააღმდეგ საწინააღმდეგო მაჩვენებლები არ გააჩნია. ის კარგი მაჩვენებელია იმ ქალიშვილებისთვისაც, ვისაც აქვს ამ ვირუსის ინფექციის სიმპტომები, ისეთები, როგორიცაა კონდილომები. მის წინ არ არის საჭირო რაიმე რთული გამოკვლევები. ხდება შემოწმება გინეკოლოგთან და ანალიზისთვის ვაბარებთ სისხლს თითიდან. დაავადების გამოწვევა ვაქცინას არ შეუძლია, ვინაიდან ის შეიცავს არა ვირუსებს, არამედ მათ მსგავს ხელოვნურად შექმნილ ნაწილაკებს.

სხვათა შორის, აცრა კარგია მამაკაცებისთვისაც. თუმცა, ადამიანის პაპილომის ვირუსი არც ისე საშიშია, მაგრამ, როდესაც მივიღებთ იმუნურ დაცვას ამ ინფექციისგან, იგი დაგვეხმარება, შევამციროთ პოპულაციაში ვირუსის შემცველების ოდენობა.

## სხვათა შორის

**ვადები, რომლებიც რეკომენდებულია გოგონების ვაქცინაციისთვის, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, კანადაში მიაჩნიათ, რომ გოგონებმა 9 წლამდე უნდა მიიღონ ეს ვაქცინა.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში იმუნიზაციისთვის ოპტიმალურ ვადად მიიჩნევენ 11-12 წლებს. მაგრამ თუ გოგონამ ვერ მოასწრო, რაიმე მიზეზის გამო, ვაქცინირება ადამიანის პაპილომის ვირუსისგან, 26 წლამდე მას აუცილებლად უნდა გაუკეთდეს ეგრეთ წოდებული ამანაზღაურებელი ვაქცინაცია.

**გამოკითხვა**

**ენდობით გაზეთში ამოკითხულ სამედიცინო რჩევებს?**

**35 პროცენტი — არა, ექიმმა უნდა მოგვცეს რჩევა მხოლოდ პაციენტის გამოკვლევის შემდეგ.**

**34 პროცენტი — ყოველთვის არა, გაზეთებში ბევრი რჩევაა, რომლებიც, ღმერთმა იციან, საიდანაა.**

**19 პროცენტი — დიახ, განსაკუთრებით თუ მათ რეალური ექიმები იძლევიან სამედიცინო გამოცემებში.**

**12 პროცენტი — გაზეთები განა ბეჭდავენ სამედიცინო რჩევებს?**

**სულ გამოკითხვაში მონაწილეობდა 1251 კაცი.**

ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### „ივანიშვილი დიქტატურის გზას დაადგა“

— მიაჩნია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურ მდივანს ალეკო შალამბერიძეს, — სხვა გამოსავალი არც აქვს, ვერც იგი და ვერც მისი ოცნება ვერაფერს აკეთებს. მეტსაც გეტყვით, თავზე დაისვეს კრიმინალები, რომელთაც სახელად ნაციონალები ჰქვიათ. უსუფაშვილმა ლამის კანონიც კი მიიღოს, რომ ნაციონალებს ცივი ნიავი არ მიეკაროთ. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ოპოზიციადაც აღიარეს. სამაგიეროდ, არასაპარლამენტო ოპოზიციას გერებივით და მტრებივით გვექცევიან. ყველა საშუალებას გვისპობენ, რომ ჩვენი პოზიციები დავაფიქსიროთ. როდესაც პოლიტიკის გაგებაში არ ხარ, სჯობს სხვებს მოუსმინო. მხედველობაში კონსტრუქციული კრიტიკა მაქვს, რომლის გაგონებაც პრემიერს არ სურს.

**„ახალი თაობა“**

### ევროსაბჭო ვანო მერაბიშვილის საკითხს განიხილავს?



გავრცელებული ინფორმაციით, 24-28 ივნისს სტრასბურგში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საზაფხულო პლენარული სესია გაიმართება, სადაც დებატები შედგება ვანო მერაბიშვილის დაკავებაზე, ზურაბ ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყებაზე, გამგებლებისთვის თანამდებობების იძულებით დატოვებასა და მედიაზე ზეწოლაზე. საინტერესოა, იმავე ლევან მაისურაძეზე და იმავე ვანო მერაბიშვილზე ლაპარაკი რომ დაიწყება, ჩვენს დელაგაციას ხმა ჩაუვარდება თუ ისეთი დოკუმენტი მიაქვთ, რომ იქ დააქუხებენ? გარდა ამისა, თავის მხრივ, სხვა საკითხებიც უნდა გააჟღერონ ამ ასამბლეაზე.

**„ალია“**

### გენერალს არავინ ეხმიანება...

საპარლამენტო უმცირესობის წევრის ირმა ნადირაშვილის ბრალდებებს, რომელიც მან გია ყარყარაშვილს საჯაროდ წაუყენა, გენერალი საკუთარი ფეისბუქის გვერდზე გამოეხმაურა. ნადირაშვილი მას თავდაცვის სამინისტროსთან ერთად კორუფციულ გარიგებაში სდებს ბრალს. ყარყარაშვილმა კი მათ შპს „პროგრეს პლუსის“ საბუთების დეტალური შესწავლა შესთავაზა. თუმცა, მისი თქმით, შეთავაზებას ნაცმოძრაობიდან არავინ გამოხმაურებია.

**„რეზონანსი“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

**მეზღვაურმა ბარში გოგო გაიცნო და ცოტა ხნის შემდეგ მუხლებზე დაისვა.**

**— იცი, მუცელზე რისი ტატუ მაქვს? — ეუბნება მეზღვაური, — წყალქვეშა ნავის.**

**— მივხვდი, პერისკოპით ვიგრძენი.**

* * *

**მიხოს შეყვარებული მესიჯს უგზავნის: „ძვირფასო, თუ გძინავს, შენი სიზმრები გამომიგზავნე, თუ იცინი, შენი სიცილი გამომიგზავნე, თუ ტირი, შენი ცრემლები გამომიგზავნე“.**



**მიხო გადაუმესიჯებს: „ტუალეტში ვარ. რა გამოგიგზავნო“?**

**— ქალიშვილო, მე თქვენ მომეწონეთ, მოდით, ხვალ შევხვდეთ!**

**— რას ამბობთ?! მე გათხოვილი ვარ... დღეს შევხვდეთ!**

* * *

**— მკაცრი დიეტა უნდა დაიცვათ: არ მოწიოთ, არ დალიოთ, ცხიმიანი არ ჭამოთ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.**

**— სექსი მაინც თუ შეიძლება?**

**— მხოლოდ ცოლთან.**

**— რატომ?**

**— იმიტომ, რომ თვეში მხოლოდ ერთხელ გაქვთ ამის გაკეთების უფლება.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com